სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 მარტი 2006 №70 (2692) ფასი 50 თეთრი

# კალაძემ კარეუ კარს არ გააკარა




AFP ფოტოდან

# ჩერნიშოვმა მსაჯი საპონზე გაუშვა და თვითონაც მიჰყვა



რატომღაც რომ „დინამო" — „ვიტ ჯორჯია" უშფოთველად ჩათამაშებულიყო. კაი ჯიგრიანი და გაწევ-გამოწევიანი თამაში იყო და 0:0-მა უფრო ვიტელები დააკმაყოფილა, თორემ „დინამო" უკვე 8 ქულით ჩამორჩება ლიდერ „სიონს", რომელმაც სტუმრად „კახეთს" მოუგო.

სენსაციებიც, იცოცხლეთ, არ დაგვამადლა 21-ე ტურმა: „ამერმა" შეჭირვებულ „ცხინვალთან" მოახერხა ნაგება, ხოლო „ზესტაფონს" ბოლოდროინდელი ზესვლა „ბორჯომთან" ფრით შეუჩერდა.

„დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" ჯახზე კი სხვაც ითქმის: ვერმოგებამ ძალიან გააბრაზა მასპინძელთა თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი, ნამატჩევ პრესკონფერენციაზე იგი ჯერ მსაჯებს გადასწვდა, მერე მასმედიას და დარბაზი დემონსტრაციულად დატოვა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩერნიშოვი გაბრაზდა და გაიქცა

## დინამო — ვიტ ჯორჯია: ომი და ნულები

თბილისი. 29 მარტი. 15 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

**დინამო 0:0 ვიტ ჯორჯია**

*დილმელაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (16, ააცილა)*

**დინამო:** სტურუა, ამბროზიო, გიგაური, შაშიაშვილი, აკობია, ლ. ნოზაძე, ლ. ბურდული (ბობოხიძე 78), კ. მახარაძე (ლ. ახალაია 46), ს. იაშვილი (გ. მერებაშვილი 62), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* ლორია; ლობჟანიძე, ორბელაძე, ჯ. დვალი
**მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, ჯაფარიძე, დ. ლომაია, კობიაშვილი (გ. მელქაძე 6), გველესიანი, გ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი, დილმელაშვილი, ზ. სახოკია (ებანოიძე 69), ფეიქრიშვილი (კვალინაძე 79), ლუჭაშვილი
*სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი; აბშილავა, ცხომარია, ლ. რაზმაძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** გველესიანი (28), დილმელაშვილი (39), მეგრელაძე (39), იმედაშვილი (40), ბურდული (56)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, გ. ჩიგოგიძე, ნ. რუსიშვილი, ლ. ფანიაშვილი

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე




**კობა ინასარიძე**

**ძალიან** განერვიულებული იყო მატჩის შემდეგ „დინამოს" თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი. პრესკონფერენციაზე მან ჯერ მატჩის შეფასებით დაიწყო, ორიოდ სიტყვა თქვა და შემდეგ მსაჯებს მისდგა, აქაოდა, „დინამოს" წარუმატებლობა სწორედ მათი ბრალია, ასეთი განუკითხაობა არსად მინახავსო. ჩერნიშოვმა ჩვენც გაგვკრა კბილი, მერე კიდევ მკითხავთ, სახლში როდის მიდიხარო — სკამიდან წამოხტა და დარბაზი დემონსტრაციულად დატოვა. ნამდვილად არ იყო მოსაწონი საქციელი. მწვრთნელს თუ რამ პრეტენზიები მსაჯებთან აქვს, ეს ცალკე სალაპარაკო თემაა, ხოლო პრესკონფერენციიდან წამოხტომა და დარბაზიდან გაქცევა მწვრთნელს, რაც უნდა განერვიულებული იყოს, არ შეშვენის.

ჩერნიშოვის აღშფოთება კი არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას რამდენიმე გადაწყვეტილებამ გამოიწვია — მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა, მეტოქის კართან პასიური თამაში არე დააფიქსირა და მოედნიდან დავით იმედაშვილი არ გააძევაო.

მსაჯების მსაჯებად არ გამოვდგებით, თუმცა მორიდებით ერთს ვიტყვით, ვადაჭკორიას ცოტა სიმკაცრე რომ გამოეჩინა, „ვიტ ჯორჯიას" მცველს მატჩი ეგებ მართლაც ნაადრევად დაემთავრებინა. სხვა საქმეა, მერე რა იქნებოდა და „დინამო" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას როგორ მოახერხებდა.

...არადა „ვიტ ჯორჯიას" ცოტა მაინც რომ გამართლებოდა, მალევე დაწინაურდებოდა. მთელი პირველი ტაიმი თუ არა, ნახევარი საათი სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. მასპინძლებს შესვენებამდე ღირებული არაფერი შეუქმნიათ, საკუთარ კართან კი რამდენიმე ისეთი მომენტი „მიიღეს", შეიძლება ითქვას, ბედად გადარჩნენ, უფრო სწორად, გუნდი ზვიად სტურუამ გადაარჩინა. „დინამოს" მეკარემ მატჩის დასაწყისშივე ჯერ გიორგი ფეიქრიშვილის ძალიან უხერხულად დარტყმული მოიგერია, ხოლო შემდეგ გიორგი დათუნაშვილის ტყვიასავით გასროლილი კუთხურზე გადააგდო. ამ მომენტებს შორის კი გამოუყენებელი პენალტი ვნახეთ: მარცხენა ფლანგზე ფეიქრიშვილმა ორი მცველი რომ ჩამოიშორა, დაქაჩეს და წააქციეს. ვადაჭკორიამაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი — დავით დილმელაშვილმა მეკარის ნახტომის საპირისპირო კუთხეში კი დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

მეტოქის გაცუდებული პენალტის შემდეგ „დინამო" შეგულიანდა. მასპინძლებს ერთი-ორჯერ კარგი შეტევის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" მცველები ყოჩაღობდნენ. სტუმართა ახალბედა მეკარე არდალიონ მიქაბერიძეს ცოტა ნერვიულობა ეტყობოდა, ბურთი ხელებიდან რამდენჯერმე გაუვარდა კიდეც, მაგრამ ამას „დინამოსთვის" ხეირი არ მოუტანია.

და კიდევ: შესვენებამდე ფეხბურთელები ლამის ყოველი ჯარიმის შემდეგ კინკლაობდნენ და გუნდური საქმის გარჩევა იწყებოდა ხოლმე. ესეც მატჩის პრინციპული მნიშვნელობის გამოძახილი იყო. ინტრიგა კი, იცოცხლეთ, ამ შეხვედრას ისეთი ჰქონდა...

შესვენების შემდეგ „დინამოში" ლადო ახალაია გამოჩნდა. მან შუა ნახევარმცველი კახა მახარაძე შეცვალა, თავად კი მარცხენა ფლანგი ჩაიბარა. ვერ ვიტყვით, კიდევ ერთმა ძველმა დინამოელმა გაილაღა, მაგრამ მისი გამოსვლის შემდეგ სწორედ მარცხნიდან მასპინძელთა შეტევები გაცილებით უფრო მწვავე გახდა და „ვიტ ჯორჯიას" დაცვასაც საქმე გაუათმაგდა.

მომენტები? არა, საგოლედ ნაღდი შანსი „დინამოს" არც ჰქონია, თუმცა ბურთი სულ „ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოს ირგვლივ ტრიალებდა. სტუმართა კართან რამდენჯერმე დიდი არეულობაც შეიქმნა, მაგრამ ფორვარდებმა ზუსტად ვეღარ დაარტყეს.

მოკლედ, მეორე ტაიმში თამაშის სადავეები უკვე „დინამოს" ეპყრა და მეტოქეც საკმაოდ ანერვიულა, მაგრამ არანაირი შედეგი მასპინძელთა მცდელობას არ მოჰყოლია. ეგ კი არა, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „დინამო" ისევ სტურუამ გადაარჩინა, როცა ვასილ ლუჭაშვილს ლამის აუღებელი აუღო.

### პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* ძნელი და სანახობრივად კარგი მატჩი გამოვიდა. ორივე გუნდს შეეძლო მოგება. ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია. „ვიტ ჯორჯია" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს.

ანდრეი ჩერნიშოვმა კი ვიდრე დარბაზს დატოვებდა, ისიც თქვა, რომ ეს ფრე „ვიტ ჯორჯიასთვის" უფრო სასურველი შედეგი იყოო.






საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე 21 ტური

თბილისი. 29 მარტი. 15 საათი. ოლიმპი. 300 მაყურებელი

## თბილისი 1:0 სპარტაკი

| 1:0 სახვაძე (25) | |
|---|---|
| თბილისი: მ. ალავიძე, მიმინოშვილი, გუშარაშვილი, მიქიაშვილი, ხოხონიშვილი, ბესარაშვილი, ლ. კვარაცხელია, სახვაძე (მ. ხუციშვილი 78), ბარამიძე, ზირაქიშვილი (როსტომაშვილი 87), ხოჯავა (რევაზ ბარაბაძე 83) სათადარიგონი: ბერიძე, კაკაბაძე, მ. ბარაბაძე | ბორჯომი: ნაფეტვარიძე, ელიზბარაშვილი, ჯანგიძე, იმნაიშვილი, ტაბუცაძე, მაისაშვილი, თ. მჭედლიშვილი (ილ. მოდებაძე 22), ჯიბლაძე (მალაღურიძე 64), კ. შალამბერიძე, ოქროშიაშვილი (ურუშაძე 77), ხუბუა სათადარიგონი: ლაძაძე, გაგნიძე, ხარაიშვილი, მალიჩავა |
| მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა | მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე |
| გაფრთხილება: ელიზბარაშვილი (65), კვარაცხელია (66), მაისაშვილი (70), ნაფეტვარიძე (72), ხოჯავა (81) | |
| მსაჯები: ჯ. ბუიშვილი, ა. გუნთაძე, კ. ბერაძე, დ. სანაია | |
| დამკვირვებელი: მ. ქელიძე | |

# თბილისმა დასახვეული დაიწყო

## ეს რომელი გუნდებია?

ილია ნანობაშვილი

ეს „თბილისი" — „სპარტაკია"? იკითხა ერთმა გულშემატკივარმა, როცა გუნდები მოედანზე გამოვიდნენ. ვერც ერთ გუნდს ვერ იცნობდით: „თბილისში" ერთბაშად ოთხმა ახალმა ფეხბურთელმა — ზაზა ზირაქიშვილმა, არჩილ სახვაძემ, მიხეილ ბესარაშვილმა და გოჩა ხოჯავამ — ითამაშა. იცოცხლეთ, ისეთი სახელებია, მაყურებელმა იხუმრა კიდეც, „თბილისს" საჩემპიონო გუნდი ჰყავსო. ეგაა, ამ ოთხეულიდან არც ერთი არაა ჩვეულ ფორმაში.

„სპარტაკშიც" ორი ახალი სახეა: ლაშა ჯანგიძე და კობა შალამბერიძე, რომლებიც ადრეც თამაშობდნენ ამ გუნდში, ახლა კი მათი მაისამდე დამატების მიზანი რაცაა, კარგად იცით — „სპარტაკი" უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირასაა, გუშინ კი სიტუაცია კიდევ უფრო დაიმძიმა.

მოკლედ, ორი ხავსმომჭიდე გუნდი ბურთაობდა „ოლიმპზე" და აუტსაიდერების შესაფერისი თამაშიც გამოვიდა, ბევრი იყო ტექნიკური წუნი, უაზრო პასი, უხეში შეცდომებისგან შექმნილი საგოლე მომენტები...

ჰო, „თბილისის" ოთხ ახალ ფეხბურთელთან ერთად ახალი იყო მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაც — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ექსთავკაცმა სამქულიანი დებიუტი გამოაცხო.

ერთი სიტყვით, სიახლეებით დატვირთული იყო ოლიმპური მატჩი...

თამაში კობა შალამბერიძის ლამის ორმოცდაათმეტრიანი ფლანგური გარღვევით დაიწყო და ბოლოს ის ერთბაშად სამმა მცველმა საჯარიმოს მისადგომებთან წააქცია. პირველი რეალური საგოლე ჩხვლეტაც „სპარტაკისა" იყო, როცა გივი ოქროშიაშვილმა კართან ახლოს მოიხელთა ბურთი, მაგრამ ნაზად დაარტყა.

„თბილისიც" ნელ-ნელა ამოძრავდა და მყისვე გაიტანა: ლევან კვარაცხელიას ჩაწოდებულს არჩილ სახვაძემ თავური უთავაზა, სპარტაკელთა მეკარე დავით ნაფეტვარიძეს კი ბურთი ხელებში გაუძვრა — 1:0. ეს 24-ე წუთზე მოხდა.

მასპინძლებმა მოგების გემო იგრძნეს და უფრო თამამად შეუტიეს, მაგრამ პირველ ტაიმში ლერი ხოხონიშვილის ლამაზი ფლანგური გარღვევის მეტი არაფერი ჩაგვინიშნავს.

შესვენების შემდეგ თამაში უფრო გაიხსნა, „სპარტაკმა" თითქოს გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ მომენტებს „თბილისი" ქმნიდა — ხოჯავამ, სახვაძემ და ორჯერ ზირაქიშვილმა თვალდახუჭულად გასატანი გააცუდეს. 72-ე წუთზე კი მსაჯმაც დაინდო „სპარტაკი" — ნაფეტვარიძემ საჯარიმოს გარეთ ხელით დაიჭირა ხოჯავა, მაგრამ არბიტრმა წითლის ნაცვლად ყვითელი ბარათი ამოიღო. გახსოვთ, „ზესტაფონ" — „ამერის" ამასწინანდელ მატჩში მომხდარი ეპიზოდი, როცა ფეროელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურია არ გააძევეს? ზუსტად იგივე სიტუაცია იყო.

ბოლო წუთები „ოლიმპზე" დიდად შფოთიანი არ ყოფილა, „თბილისმა" ნანატრი სამი ქულა ჩაითვალა და, მართალია, ისევ ბოლო ადგილზეა, მაგრამ „სპარტაკთან" და „სოხუმთან" ოდენ სამ-სამ ქულას აგებს.



გოჩა ტყებუჩავა

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!
GEO *123#
ჯეო MIX მიქსი
აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები
SCORE LIVE
wap.geocell.com.ge

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · მეორე წრე · 21 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერმა გორში აურია
## კაცნაკლული ქართლელების ალიყური



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ბექა ჩიტაიას (№10) თავურმა „ცხინვალს" სენსაციური სამი ქულა მოუტანა

გორი. 29 მარტი. 15 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

**ცხინვალი 1:0 ამერი**

1:0 ბ. ჩიტაია (90)

*დოლიძემ ვერ გაიტანა პენალტი (78, მეკარე)*

**ცხინვალი:** გ. შენგელია, გ. ჩიტაია, გ. ლომიძე, ქარქუზაშვილი, ეჯოშვილი, ხაჭაპურიძე (ნოზაძე 31), მ. თაყაძე (მძინარიშვილი 90), დათვაძე, ბ. ჩიტაია, ხანიშვილი, სულთანიშვილი (აკოფიანი 89)
სათადარიგონი: ქესანაშვილი; ხოხობაშვილი, მაისურაძე, ვ. თაყაძე
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**ამერი:** ნადირაშვილი, კედელაშვილი, ბერიანიძე, ხვადაგიანი (გარუჩავა 46), ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, კოშკაძე (სილაგავა 72), სევასტოპულო, ს. დავითაშვილი (ა. კაიდარაშვილი 67)
სათადარიგონი: ნაჭყებია; დავითნიძე, წინამძღვრიშვილი, დობროვოლსკი
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ეჯოშვილი (27), ლომიძე (31), ჩიტაია (41), ქარქუზაშვილი (78), ეჯოშვილი (81)

**გაძევება:** ეჯოშვილი (81)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, ზ. ჯვარიძე, შ. ქუხილავა, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** ი. მჭედლიშვილი

**დავით თავართქილაძე** გორიდან

**ნამატჩევს** „ცხინვალის" დამრიგებელმა ივანე თაყაძემ თქვა, „ამერი" ჩვენზე ძლიერი გუნდია, მაგრამ დღეს ღმერთი ჩვენს მხარეს იყო. ცხინვალელთა მწვრთნელის ამ სიტყვებს კაცი კვერს კი დაუკრავდა, მაგრამ ისიცაა, რომ „ცხინვალი" გუშინ ოდენ ღვთის ანაბარა არ იყო — თბილისის „ამერმა" მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი უსუსური მატჩი ითამაშა.

შეხვედრა სტუმართა შეტევებით კი დაიწყო, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — დავით დათვაძემ კარგად უპასა საბა სულთანიშვილს, რომელმაც ბურთი ვერ დაიმორჩილა, თორემ მეკარესთან პირისპირ იყო დარჩენილი.

„ამერი" პირველი ტაიმის პირველ ნახევარში აგრესიულად მოქმედებდა და როცა სისწრაფეს უმატებდა, მეტოქეს ღონიერ მარწუხებში აქცევდა. ამერელებმა რამდენჯერმე უჩხვლიტეს „ცხინვალს", გოლის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა კი მაშინ ჰქონდათ, როცა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ მარჯვენაფლანგელ გრიგოლ დოლიძეს დარტყმა გაუცუდდა და ბურთი მიზანს აცილა.

ორჯერ დავით სევასტოპულოც დაემუქრა „ცხინვალს", თუმცა მასაც სიზუსტემ უმტყუნა.

„ამერი" მეტწილად ცენტრიდან და მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, ორთაბრძოლებში აღემატებოდა მეტოქეს, ტაიმის ბოლოს კი აგრესიას უკლო, გეგონებოდათ, სამეორეტაიმო შტურმისთვის ემზადებაო — მოვლენათა ასეთ განვითარებას კარნახობდა ლოგიკა: ამერელებს მეტოქეზე სახელიანი ფეხბურთელები ჰყავთ, გაცილებით უკეთესი მოსამზადებელი პირობებიც გააჩნიათ და ამბიციითაც აღემატებიან ცხინვალელებს.

ვერ გეტყვით, რა მოხდა შესვენებისას „ამერის" გასახდელში, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ზლაზვნას უმატა.

შესვენების შემდეგ „ამერი" უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ რიგით გუნდს ჰგავდა, არც გავარდნა რომ ემუქრება და დიდი მიზნებისთვისაც რომ არ იბრძვის. სტუმრებს მაინც ჰქონდათ მოგების შანსი, მაგრამ თამაშის ხარისხი და შინაარსი მათ მიმართ ამ მატჩში სიმპათიით ვერ განაწყობდა.

ისიცაა, რომ „ამერში" დისბალანსი შეინიშნებოდა — ზოგ ფეხბურთელს სხვებზე მკვეთრად ნაკლები ნიათი და ფხა ჰქონდა, ზოგსაც თითქოს ზეზეულად ეძინა მინდორზე.

ჩიხრაძემ შეცვლებს მიმართა — გუნდის მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი ალექსანდრე კაიდარაშვილით შეცვალა და მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დავითაშვილი ჩვეულად აქტიური არ იყო, თანაც მიკროტრავმაც აწუხებდაო.

სანამ კაიდარაშვილი შევიდოდა მოედანზე, „ამერმა" მეორე ტაიმში მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი გაჩარხა — დავითაშვილი 17-18 მეტრიდან თავზე უგდებდა ბურთს გიზო შენგელიას, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ რის ვაი-ვაგლახით იხსნა კარი.

ჩიხრაძემ მარცხენაფლანგელი ალექსანდრე კოშკაძეც გამოცვალა, თუმცა მოედანზე ვითარება დიდად არ შეცვლილა — „ცხინვალი" ძალიან მონდომებული იყო და სტუმრებს გასაქანს არ აძლევდა.

მეტოქეთა შორის ძალთა ბალანსი მაინც თავისას შერებოდა და ამერელებს გოლის გატანა მართებდათ — კაიდარაშვილმა კუთხე დაამახვილა და შენგელიამ მისი დარტყმული ფეხით მოიგერია; ცოტაც და, გიორგი დეკანოსიძემ ჩააგდო ბურთი „ცხინვალის" საჯარიმოში, გივი ქარქუზაშვილმა ხელით ითამაშა, პენალტი და... გრიგოლ დოლიძის დარტყმული შენგელიამ მოიგერია.

„ამერმა" კუთხურებიდანაც სცადა ბედი და ერთ-ერთი კუთხურისას არეულობაში კაიდარაშვილმა მოახერხა ბურთის კარში გადაგზავნა, მაგრამ არბიტრმა გოლი არ ჩათვალა.

„ამერმა" დავით ეჯოშვილის გაძევების შემდეგ რიცხობრივი უპირატესობაც ვერ გამოიყენა და კაცნაკლული „ცხინვალისგან" აქეთ მიიღო გოლი — სოლორუიდი დათვაძემ იკისრა, რამდენიმე მეტოქეს გასცდა, მარჯვნიდან ამერელთა კარის შორეულ ძელთან ჩააწოდა და ბექა ჩიტაიამაც თავურით გაიტანა — 1:0.

ფოთი. 29 მარტი. 15 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 4:1 ლოკომოტივი**

1:0 მარგალიტაძე (26), 2:0 ჯანაშია (31), 3:0 ქუთათელაძე (49), 4:0 მარგალიტაძე (72), 4:1 ჩივაძე (90პ)

**კოლხეთი:** ლატარია, კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ქობულაძე, ზ. რაზმაძე, ვართაგავა (ლოლუა 72), კრასოვსკი, გოჩალეიშვილი (წიქარიშვილი 36), ზ. ჯანაშია, მარგალიტაძე (გ. სახოკია 74), ზ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: ხარძეიშვილი; ყურაშვილი, ნაბრია
**მწვრთნელი:** სოსო ჯილია

**ლოკომოტივი:** ლ. ლომიძე, ნ. ებრალიძე, პეტროსიანი, გულორდავა (ბარბაქაძე 65), მ. ყლენტი (მენაბდე 62), ალავერდაშვილი, გ. კახელიშვილი, ავალიანი, თავბერიძე, გ. ყიფიანი (რამონი 59), ჩივაძე
სათადარიგონი: ზ. ჩალაძე; ფურთუხია, ბახტაძე, თუთბერიძე
**მწვრთნელი:** სოსო სირაძე

**გაფრთხილება:** კახელიშვილი (27), ჩივაძე (66), სახოკია (89)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, ზ. ხუციშვილი, ს. სპიცინი, მ. ნაკაიძე

**დამკვირვებელი:** მ. მაღლაფერიძე; **დირექტორი:** გ. საყვარელიძე

# ფოთში დედამიწა გაჩერდა
## მზემ ხელები დაიბანა

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**„ფაზისზე"** შეკრებილი ქომაგობა ჯერ მზის დაბნელებას, მერე კი „კოლხეთის" ნანატრ სამ ქულას ელოდა. მათი მოლოდინი გამართლდა და ამ ორივე მოვლენით ყველა კმაყოფილი დარჩა.

უცნაური ამინდი იყო ფოთში. ზედ თამაშის დაწყებისას გვარიანად მოინისლა, თითქოს მზის დაბნელებისთვის სამზადისი დაიწყოო. მატჩის მე-15 წუთზე მსაჯი იძულებული გახდა, მატჩი ოთხი წუთით შეეწყვიტა.

მზის დაბნელებამდე მოედანზე ღირებული არაფერი მომხდარა. თამაში განახლდა თუ არა, კოლხებმა საგრძნობლად უმატეს და სტუმართა კართან ხიფათიც მომრავლდა. საფრთხე ფლანგებიდან იწყებოდა, სადაც ედიშერ მარგალიტაძე და, განსაკუთრებით, გიორგი კრასოვსკი აქტიურობდნენ. სწორედ კრასოვსკის ორ ფლანგურ ჩაწოდებულზე ჯერ გოჩალეიშვილი, მერე კი ქუთათელაძე ურტყამდნენ თავით — კოლხებს ორივეჯერ სიზუსტემ უმტყუნა. უზუსტო გამოვიდა ზამირ ჯანაშიას შორეული დარტყმაც, მაგრამ სულ მალე მოხდა ის, რასაც „კოლხეთი" დიდხანს ელოდა.

წლეულს კოლხებს ერთი გოლი რაა, ისიც ვერ გაეტანათ და 26-ე წუთზე ამ უსიამო ტრადიციას ბოლო მოუღო მარგალიტაძემ, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე ჩინებულად გარჯილ გოჩალეიშვილის ჩაწოდებულს შორეულ ძელთან დაუხვდა და თავით ეფექტურადაც გაიტანა — 1:0.

ხუთ წუთში ჯანაშიას ჯერიც დადგა. ქუთათელაძემ ჭკვიანური პასით სტუმართა დაცვის ხაზი გაჭრა და ზამირი მეკარეს შეატოვა — ფორვარდმაც ყველაფერი უნაკლოდ შეასრულა, მეკარე მოატყუა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

კოლხთა უპირატესობა მეორე ტაიმშიც თვალში საცემი იყო და მალე ქუთათელაძემაც იყოჩაღა — ზვიადმა კრასოვსკის დაუფასა გარჯა და ფლანგურ ჩაწოდებულს ფეხი საგოლედ დაუხვედრა — 3:0.

„ლოკომოტივი" საბოლოოდ აქ გატყდა და დარჩენილ დროში დამაინტრიგებელი მხოლოდ ის იყო, თუ რა ანგარიშით მოიგებდა „კოლხეთი". სტუმართა საცოდაობას წერტილი 72-ე წუთზე დაესვა, როცა მარგალიტაძემ მეტოქის საჯარიმომდე იოლად გაიკვლია გზა და კარის გასწვრივ დაარტყა. ბურთი სტუმარ ნოდარ ებრალიძეს მოხვდა ფეხზე და... კარში ამოჩნდა.

თბილისელებმა პრესტიჟის გოლის გატანა მაინც შეძლეს. ბოლო წუთი იყო, როცა გიორგი კიკაჩეიშვილმა სახოკია დააჯარიმა და პენალტი დანიშნა — დარტყმა გიორგი ჩივაძემ ითავა, მაგრამ ლევან ლატარიამ აუღო. მსაჯმა ხელმეორედ დაარტყმევინა სტუმარს და ამ ჯერზე მან ზუსტად დაარტყა — 4:1.

### პრესკონფერენცია

*სოსო სირაძე:* ვულოცავ სეხნიას მოგებას. მეტოქემ აშკარად გვაჯობა. ორი ძირითადი მცველი გვაკლდა და ისინი რომ ყოფილიყვნენ, იქნებ, ასე არც წაგვეგო.

*სოსო ჯილია:* ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ მოგებას დიდი ფასი ჰქონდა. მატჩამდე შეგირდებს ვთხოვე, არაფერი მინდა, ერთი გოლი მაინც გაიტანეთ-მეთქი. ბიჭებმა ეს თხოვნა დიდებულად შეასრულეს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — მეორე წრე — 21 ტური

# სკონტორპედო



ლატვიიდან დაბრუნებული დავით გამეზარდაშვილი მშობლიურ „ტორპედოს" გოლით შეეწია

თბილისი. 29 მარტი. 15 საათი. შევარდენი. 150 (ტევადობა 2 000)

### სოხუმი 0:3 ტორპედო

| | |
|---|---|
| 0:1 დოლონაძე (12), 0:2 გამეზარდაშვილი (18), 0:3 ძოძუაშვილი (84) | |
| **დინამო:** ჯინჭარაძე, ამბიძე, გოგიტაძე (გაგუა 39), ჟვანია, ჭყოიძე, მაჩალაძე, ხაჩიძე, ბართია (ა. ნოზაძე 26), ჭანტურია, სიხარულიძე (ა. ლაბაძე 75), გადელია *სათადარიგონი:* მოლოდინი, დ. კახელაშვილი, მამფორია, გაგნიძე **მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი | **ტორპედო:** ჭურაძე, ზ. ჩხეტიანი, ბერუაშვილი, პარამონოვი, გამეზარდაშვილი, რ. კვერნაძე (გორგოძე, 46), ყიფიანი, დოლონაძე (დარსანია, 65), კორლალიძე, მ. ღონღაძე, ჩილვინაძე (ძოძუაშვილი, 46) *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; დ. ჯანაშია, ლალაძე, დათიაშვილი **მწვრთნელი:** იური კვერნაძე |
| **გაფრთხილება:** გადელია (38) | |
| **გაძევება:** ჯინჭარაძე (75) | |
| **მსაჯები:** ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, კ. გუდურაშვილი, ა. კრიჭაშვილი | |
| **დამკვირვებელი:** ს. კოტრიკაძე | |

**გიორგი ნოზაძე**

**აშკარად** გაუმართლათ იმ გუნდებს, ქუთაისის „ტორპედოსთან" მეორე წრის შეხვედრები უკვე რომ მოითავეს და რიონისპირელებს ქულებს გამორჩნენ. ეს ის „ტორპედო" აღარ არის, პირველ წრეში უპრაგონოდ რომ არიგებდა ქულებს. ციდან ვარსკვლავებს წყვეტენო, ქუთაისელებზე ვერც ახლა იტყვის კაცი, მაგრამ „სკონტოს" სკოლაგამოვლილთა დაბრუნებით კარდინალურად გადახალისებული შემადგენლობა შეთამაშებას რომ იწყებს, ფაქტია.

კარში სერგო ჭურაძე დგას, დაცვის ცენტრს დავით გამეზარდაშვილი ამაგრებს, ნახევარდაცვაში კი გიორგი ყიფიანი, ლევან კორლალიძე და დიმიტრი პარამონოვი თამაშობენ. თუ ამათ მერაბ ძოძუაშვილს, დავით ჩილვინაძეს და კოტე დარსანიას დავუმატებთ, გუნდის კონტურებიც გამოჩნდება.

ფორვარდებს რომ ევარგათ, „ტორპედო" გაცილებით დიდი სხვაობით მოიგებდა, მაგრამ პირველ ნახევარში ჩილვინაძემ და მეორეში ძოძუაშვილმა თითო ისეთი „გამაზეს", ვერგატანა გაცილებით ძნელი იყო. თუმცა ქუთათურებმა ამის გარეშეც დამაჯერებლად დაამარცხეს მეტოქე.

მატჩის დაწყებიდან თხუთმეტი წუთის თავზე მზის დაბნელება დაიწყო და რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სანამ „შევარდენზე" მზემ ისევ გამოაჭყიტა, „ტორპედო" უკვე ორი ბურთით იგებდა. მე-12 წუთზე კორლალიძის მოკლე პასს არმაზ დოლონაძემ მოხდენილი თავური მიაყოლა და შორეულ კუთხეში არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად გაგზავნა ბურთი; ექვსი წუთის შემდეგ კი კიდევ ორმა ლატვიამოვლილმა გამოიჩინა თავი — გიორგი ყიფიანმა ჯარიმა ჩააწოდა, ყველაზე მაღლა გამეზარდაშვილი ახტა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 0:2.

სოხუმელებს მაშინვე შეეძლოთ ერთი ბურთის გაქვითვა, მაგრამ ჭურაძემ ორი მეტრიდან თემურ გადელიას დარტყმულზე რეაგირება მოასწრო.

სტუმართა უპირატესობით ჩაიარა მეორე ტაიმმაც, თუმცა დიდად გამოსარჩევი არც არაფერი მომხდარა. ეგ იყო, 75-ე წუთზე საჯარიმოდან გამოსულმა სოხუმელთა მეკარე ჯინჭარაძემ ხელით ითამაშა და ლაშა სილაგავამ გასახდელის გზას გაუყენა.

დარჩენილ დროში „ტორპედომ" ერთხელაც გაიხარა: კორლალიძის დარტყმას ჯერ ავთანდილ ლაბაძე, მერე კი ძელი გადაელობა, იქვე გორგოძემ დაამატა და ლაბაძეს დამხმარედ მეორე ძელი მოევლინა, მაგრამ ბურთი ლამის კარის ხაზზე მდგომ ძოძუაშვილთან აღმოჩნდა და მანაც დარტყმაში მთელი ემოცია ჩაატანა — 0:3.

# ყველა ხუმრობაში ხუმრობის ნაწილია
## არ დაარტყმევინოთ და არ გავუშვებ

ზესტაფონი. 29 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 5 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 0:0 ბორჯომი

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, გ. თურმანიძე, ძამსაშვილი, შ. ღონღაძე, ხიდეშელი (იმედაძე 57), განუგრავა, ბ. ნოზაძე, კ. ჩხეტიანი (ბენაშვილი 76), ფიფია, გ. ჭელიძე, იონანიძე (ნუდნი 46) *სათადარიგონი:* ჯალალონია, ხუმარაშვილი, ბ. გოცირიძე, ბჟალავა **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **ბორჯომი:** მამალაძე, საჯაია, ლ. მერებაშვილი, ა. ბურნაძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი, სანიკიძე, გ. ჩხეტიანი, აფციაური (შ. ჯიქია 82), სებალე, დე პორასი (ვ. გოჩაშვილი 90) *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; თედიაშვილი, ტალახაძე **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |
| **გაფრთხილება:** საჯაია (42), ღონღაძე (47), ხიდეშელი (53), ჯიქია (82), მერებაშვილი (83), სებალე (85), გ. ჩხეტიანი (90), დე პორასი (90) | |
| **მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, პ. დოგრაშვილი | |
| **დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი; **დირექტორი:** მ. ნორაკიძე | |



ეს ის იშვიათი ეპიზოდია, ზესტაფონელთა მეკარე რევაზ კვასხვაძე თამაშში რომ ჩაერთო

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**წინა** ტურში „ვიტ ჯორჯიას" დამარცხების შემდეგ „ზესტაფონს" „ბორჯომის" ძლევა ალბათ იოლად წარმოედგინა და ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა მოედანზე. ჩვეულად აქტური ვერ იყო ზესტაფონელთა მეგოლე ზურაბ იონანიძეც, რომელიც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა თემურ მახარაძემ...

მთელ 90 წუთში მეკარეებს სულ ორჯერ მოუწიათ სერიოზულად თამაშში ჩართვა და, აბა, ასეთ თამაშზე რა უნდა გითხრათ, ამდენი უზუსტო და უმისამართო პასი ზესტაფონელებს ალბათ მთელ სეზონში არ გაუკეთებიათ...

დისკვალიფიკაციის გამო იმერლებს სევასტი თოდუა და გრიგოლ ჭანტურია არ ჰყავდათ.

მე-4 წუთზე გიორგი ჭელიძეს რომ აულო ბორჯომელთა მეკარე ზურაბ მამალაძემ, მას შემდეგ მთელი 76 წუთი უქმად იყო. მერე კი ალექსი ბენაშვილის დარტყმულიც მოიგერ..ა და მორჩა. მასპინძლებმა მეტი ვერაფერი შეძლეს.

ყველაზე რეალური საგოლე შანსი კი „ბორჯომს" მიეცა: 86-ე წუთზე არგენტინელი გონსალო დე პორასის აქტიურობის შედეგად შოთა ჯიქია დარჩა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ბურთი კარს გადაავლო... ეს იყო და ეს.

ორივე მეკარის შემხედვარეს ცნობილი ხუმრობა გამახსენდა, ბიჭებო, კარში არ დაარტყმევინოთ და არ გავუშვებო. ჰოდა, „ზესტაფონისა" და „ბორჯომის" მეკარეებმაც მშრალად შეინახეს კარი...

### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* თამაში კონტრშეტევაზე ავაწყვეთ, კარგი იქნებოდა რომ მოგვეგო, თუმცა ფრითაც კმაყოფილი ვარ.

*თემურ მახარაძე:* მოგეხსენებათ, სამი დღის წინ როგორი ძნელი თამაში გვქონდა „ვიტ ჯორჯიასთან" და ბიჭები გადაღლილები იყვნენ — ბოლო ოც დღეში ექვსი თამაში გავმართეთ. ზურაბ იონანიძეც გადაღლილია... დღეს ძალიან დასანანი ორი ქულა დავკარგეთ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · მეორე წრე · 21 ტური

# ბათუმში სტადიონიც ბულვაროზს


ამირან მამალაძე ბათუმიდან

ბათუმელთა მოგებას საფუძველი გიორგი ონიანის პენალტით ჩაეყარა

ბათუმი. 29 მარტი. 15 საათი. დინამო. 1 500 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 3:1 დილა

0:1 ჯოხაძე (44), 1:1 გ. ონიანი (56პ), 2:1 დვალიშვილი (61), 3:1 გ. ონიანი (66)

ბათუმი: თოთლაძე, გ. ონიანი, მ. ლომიძე, მახვილაძე, გ. მანწკავა (გვაზავა 46), ქებაძე, სეთურიძე (ქეონია 89), რ. ონიანი, ტიაგო, რ. ჯიქია, დვალიშვილი (თ. უგრეხელიძე 89)
სათადარიგონი: სომხიშვილი; ცანავა, კუნჭულია, ფარტენაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

დილა: გეგეშიძე, გალოგრე, გვარუციძე, მაისურაძე, ლავრელაშვილი, ტლაშაძე, საყვარელიძე, კურტანიძე, ბოკუჩავა (ოლგესაშვილი 70), დ. თურმანიძე (შენგელია 75), ჯოხაძე
სათადარიგონი: ილურიძე; მასურაშვილი, კვირიკაშვილი
მწვრთნელი: მალხაზ ლაცაბიძე

გაფრთხილება: გვარუციძე (27), ჯიქია (32), ბოკუჩავა (60), ტიაგო (74)

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, მ. ურუშაძე, ზ. ბერულავა, მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**ბათუმელები** წაუგებელ სერიას აგრძელებენ და ამჯერად გორელები აღმოჩნდნენ მათი მსხვერპლნი. თუმცა პირველი ტაიმის მიხედვით ვერ იფიქრებდით, ოთარ გაბელიას შეგირდები უეჭველად მოიგებენო.

პირველი ტაიმი სულაც სტუმრებმა მოიგეს, რომელთაც თამაშამდე ახალი მთავარი მწვრთნელი მალხაზ ლაცაბიძე დაუნიშნეს. 44-ე წუთზე თურმანიძემ ბურთი მიაწოდა ჯოხაძეს, რომელმაც შორიდან სუსტად კი დაარტყა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა — 0:1.

პირველ 45-წუთეულში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ ნისლი ჩამოწვა და რამდენიმე წუთით მზის დაბნელებასაც ვუყურეთ.

მეორე ტაიმში კი სულ სხვა „ბათუმი“ ვიხილეთ. სხვათა შორის, გაბელიამ გიორგი მანწკავას ნაცვლად ახალწვეული ლევან გვაზავა ათამაშა.

56-ე წუთზე გორელ ტლაშაძეს თავის საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტი გიორგი ონიანმა უნაკლოდ დაარტყა — 1:1.

საინტერესოა, რომ ბათუმელთა სამივე გოლი სტანდარტული სიტუაციებიდან გავიდა. 61-ე წუთზე მიხეილ მახვილაძემ ფლანგური ჯარიმიდან ჩააწოდა, ვლადიმერ დვალიშვილმა კი ყველას დაასწრო და თავურით ულამაზესი გოლი გაიტანა — 2:1.

ოთხიოდ წუთში „დილამ“ მესამე გოლიც გაუშვა. იმავ მახვილაძის ჩაწოდებულზე გიორგი ონიანმა ყველას აჯობა და მანაც თავურით იხეირა — 3:1.

ბოლო წუთზე „ბათუმის“ ბრაზილიელ ლეგიონერ ტიაგოსაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი — გიორგი სეთურიძემ ჭკვიანური გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ლათინელი, რომლის დარტყმულიც ძელს მოხვდა.

საერთოდაც, ტიაგო გუშინ ძალიან კარგად გაისარჯა. შავი სამუშაოც შეასრულა და რამდენჯერმე ბრაზილიური ფინტებით გულშემატკივარსაც დააკვრევინა ტაში.

სხვათა შორის, ბოლო დროს ასეთი ხალხმრავლობა ბათუმის სტადიონზე იშვიათად გვინახავს — გუშინდელ თამაშს ათასზე მეტი ქომაგი დაესწრო.

### პრესკონფერენცია

*მალხაზ ლაცაბიძე:* ვულოცავ „ბათუმს“ კარგ თამაშს და გამარჯვებას. მათ ღირსეულად მოიგეს და საპრეტენზიოც არაფერი მაქვს.

*ოთარ გაბელია:* მთავარია, სამი ქულა ავიღეთ. მეორე ტაიმი კარგად ჩავატარეთ, პირველში კი მოშვებულები თამაშობდნენ ჩემები.

# დილა ლაცაბიძემ უნდა გამოჯანმრთელოს

*გორის „დილაში“ მთავარი მწვრთნელის შეცვლის ამბავი მას შემდეგლა გავიგეთ, „ბათუმთან“ მატჩის ოქმში ლავრენტი ბოლოთაშვილის გვარი რომ ველარ ამოვიკითხეთ.*

*მოკლედ, „დილა“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას მალხაზ ლაცაბიძის ხელმძღვანელობით შეეცდება...*

— ლაპარაკი ერთი კვირა მიდიოდა, გუნდში კი თამაშის წინა დღით მივედი და ერთსაათიანი ვარჯიშის ჩატარება მოვასწარი. სეზონს ჩავამთავრებთ და მერე ვნახავთ, გავაგრძელოთ თუ არა თანამშრომლობა.

— მიზანი, რა თქმა უნდა, ლიგაში დარჩენაა, მაგრამ პირობები თუ გექნებათ შესაფერისი?

— ამის გარეშე მუშაობას ნამდვილად არ დავთანხმდებოდი. რაიონის და ქალაქის ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერის პირობა მივილე და მჯერა, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

— დიდი ხანია, „დილაში“ კერძო ინვესტორის გამოჩენას ელიან...

— ჩემპიონატს ალბათ ასე ჩავამთავრებთ, მომავალი სეზონიდან კი „დილას“ მართლაც ახალი პატრონი გამოუჩნდება.

— გუნდის გაძლიერებას მოასწრებთ?

— განაცხადში ფეხბურთელების შეყვანის ბოლო ვადა 31 მარტია და ორ-სამ ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ. ამის გარეშე ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდება.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ქულა იქნება საჭირო ლიგაში დასარჩენად?

— 33 ქულა უეჭველად საკმარისი იქნება.

**გიორგი ნოზაძე**


ამირან მამალაძე ბათუმიდან

გურჯაანი. 29 მარტი. 15.30 საათი. დავით ყიფიანი. 400 მაყურებელი

## კახეთი 1:2 სიონი

0:1 ხუციშვილი (26), 0:2 ალავიძე (61), 1:2 ბიძინაშვილი (90)

კახეთი: ცინაძე, ტარულაშვილი, კობაიძე, მალლაკელიძე, ბედოიძე (კვირკველია 9), გიორგობიანი, კევლიშვილი (ბიძინაშვილი 46), ნ. დავითაშვილი, დ. ბურდული, სოსელია, ტეტიაშვილი (კობახიძე 46)
სათადარიგონი: არუდაშვილი, ჩახუტაშვილი, კუპრაშვილი, როსტიაშვილი
მწვრთნელი: ჯემალ მახარაშვილი

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი, ხმალაძე, ბაჯელიძე, ვ. უგრეხელიძე (ქუცურუა 66), ა. ალავიძე (კვიტაიშვილი 75), ხუციშვილი (დ. სვანიძე 66), მიკუჩაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; ოქრობირიძე, გურბიენკო, ლაშჩუკი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

მსაჯები: ა. ორდინიძე, კ. გაბრიაძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

# უბენზინო და პუნქტუალური

# სად მიხვალ, ჯო?!

**გიორგი კაციტაძე გურჯაანიდან**

**მატჩი** გურჯაანში ნახევარი საათით დაიწყო — ყველა მოუთმენლად ველოდით სასწრაფო დახმარების მოსვლას. ბოდიშიც მოიხადეს გურჯაანელმა ექიმებმა, ჩვენ ძალიან პუნქტუალურები ვართ, უბრალოდ, ბენზინი არ გვქონდაო.

თეთრხალათიანები თავიდანვე საქმეში ჩაერთნენ — მატჩის დასაწყისში „კახეთის“ ფეხბურთელი დავით ბედოიძე დაშავდა და, როცა ექიმებს დაუძახეს, პირდაპირ მანქანით შეიჭრნენ ექიმები მინდორზე. ამის შემხედვარე სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი კი ლამის სიცილით დაიხოცა...

მოკლედ, დაგვიანებით, მაგრამ მატჩი მაინც დაიწყო. „სიონს“ მეტი მოტივაცია ჰქონდა და თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას. თელაველებს კი პირველ ტაიმში კარშიც არ დაურტყამთ, ბურთი გაჭირვებით გადაჰქონდათ მეტოქის ნახევარზე.

პირველი საგოლე მომენტი მე-15 წუთზე შეიქმნა. ბოლნისელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს. კოკა მიკუჩაძემაც კარგად დაარტყა, მაგრამ გიორგი ცინცაძე ადგილზე დახვდა ბურთს.

თელაველთაგან სწორედ მეკარე გამოირჩეოდა, რომელმაც ბევრჯერ გადაარჩინა გუნდი.

23-ე წუთზე ლევან ბაჯელიძის ჩაწოდებულ კუთხურს მიკუჩაძის დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი, დამატებაზე არჩილ ალავიძემ მცირედით ააცილა.

ბოლნისელთა დაწოლამ შედეგი 26-ე წუთზე გამოიღო. მიკუჩაძემ შესანიშნავი ფინტებით მოატყუა თელაველთა ორი მცველი და მეკარესთან პირისპირ დატოვა მიხეილ ხუციშვილი — 0:1.

ამის შემდეგ პირველი ტაიმის დასრულებამდე „სიონის“ ფეხბურთელები ცენტრში მშვიდად აგორებდნენ ბურთს.

მეორე ნახევარი კვლავ ბოლნისელთა მწვავე იერიშებით მიმდინარეობდა. ისევ და ისევ ცინაძე რომ არა, ალბათ, თელაველთათვის კატასტროფული შედეგით დასრულდებოდა ეს შეხვედრა. მაგრამ 61-ე წუთზე მანაც ვერაფერი მოუხერხა ალავიძის შორიდან დარტყმულს — 2:0.

მატჩის ბოლოს მასპინძლები ოდნავ გააქტიურდნენ და გოლსაც გამორჩნენ — შეცვლაზე შესულმა ზაქრო ბიძინაშვილმა კუთხურიდან ჩაწოდებულს უთავაზა და — 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 21 | 15 | 4 | 2 | 40:12 | 49 |
| სიონი | 21 | 16 | 3 | 2 | 40:15 | 51 |
| დინამო | 21 | 13 | 4 | 4 | 34:13 | 43 |
| ამერი | 21 | 13 | 2 | 6 | 27:14 | 41 |
| ზესტაფონი | 21 | 12 | 5 | 4 | 28:16 | 41 |
| ბორჯომი | 21 | 12 | 2 | 7 | 34:17 | 38 |
| ბათუმი | 21 | 11 | 5 | 5 | 28:16 | 38 |
| ლოკომოტივი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:23 | 34 |
| კოლხეთი | 21 | 8 | 4 | 9 | 20:22 | 28 |
| კახეთი | 21 | 7 | 2 | 12 | 20:29 | 23 |
| ცხინვალი | 21 | 6 | 3 | 12 | 19:38 | 21 |
| ტორპედო | 21 | 5 | 6 | 10 | 17:26 | 21 |
| დილა | 21 | 5 | 3 | 13 | 22:31 | 18 |
| სოხუმი | 21 | 3 | 2 | 16 | 17:48 | 11 |
| სპარტაკი | 21 | 2 | 5 | 14 | 4:34 | 11 |
| თბილისი | 21 | 2 | 2 | 17 | 12:39 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საწარმო „ჩელსიში“ ძალიან ღრმა და საგულისხმო ამბებია



# ჰოდა, ჩემო ჟოზე...



ირაკლი გამყრელიძე
ლონდონიდან

**თქვენ იცინეთ და, ეგებ ახალი სეზონიდან „ჩელსის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდეს. სერიოზული ამბავია, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე. თქვენ იცინეთ და, ამ კაცს შესაძლოა სვენ გორან ერიკსონი ერქვას. „ჩელსის“ შიგნით მიმდინარე ამბები ამის თქმის საფუძველს იძლევა**

**ჟოზე მაურინიუ** შეიძლება „სტემფორდ ბრიჯის“ გარეთაც დარჩეს, თუკი მისი და კლუბის პასუხისმგებელი შეფის პიტერ კინიონის შერიგება და შეთანხმება არ მოხერხდება. ამ ორი კაცის ურთიერთობა ახლა იმგვარია, რომ ისინი მხოლოდ ოფიციალურ თათბირებზე ხვდებიან ერთმანეთს. ურთიერთობა ორ მთავარ ჩელსელს შორის რამდენიმე ამბავმა გაუფუჭა, მათ შორის კი მთავარი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაა.

ამას მოსდევს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა და „ჩელსის“ უარყოფითი იმიჯი საფეხბურთო სამყაროში, რაც მის ფეხბურთელთა უღირს ქცევებში გამოიხატება.

თურმე მაურინიუ ისეთი მოკვეთილი და ცალკე მდგომია კლუბში, რომ სერიოზულად ფიქრობს მასიმო მორატის შემონათვალზე, მოდი და „ინტერი“ ჩაიბარეო. მეტიც, ამბობენ, ამ ნაბიჯამდე მას ნაბიჯიც აღარ უკლიაო.

რომან აბრამოვიჩიც თურმე გააქტიურებული ჩანს მაურინიუს მისამართით. რუსის მილიარდერმა ყველაფერი შეასრულა, რასაც სთხოვდნენ: თავისი ჭკუით, სამყაროს უძლიერესი ფეხბურთელები იყიდა და ოცნების ასრულებას დაელოდა: როდის დაუძახებენ ჩემს კლუბს ევროპის ნამდვილ ხელმწიფესო. ფეხბურთი უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ჩუკოტკის გუბერნატორს ეგონა. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში არავინ იხდის ისეთ ხელფასს, რამდენსაც მისტერ ჩელსკი და „ჩელსი“ მეორედ ხდება ინგლისის ჩემპიონი, ის არც ევროპის საუკეთესო გუნდია და არც რაიმე სიმპათიით სარგებლობს დედამიწის რომელიმე წერტილში, „სტემფორდ ბრიჯის“ გარდა.

თუ კინიონი და მაურინიუ ვერ მორიგდებიან, აბრამოვიჩს გადაწყვეტა მოუწევს და სავარაუდოა, რომ ის კინიონს არ შეელევა.

კინიონის ამბავი კი ცნობილია: ის ერიკსონს მეგობრობს. როცა კინიონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფი იყო და ალექს ფერგიუსონმა თქვა, გუნდიდან მივდივარო, კინიონმა მის შემცვლელად სწორედ ერიკსონი დაასახელა. ეს იყო 2002 წელს. მერე კინიონი „ჩელსიში“ გადავიდა და ისა და ერიკსონი ერთად ნახეს აბრამოვიჩის სახლის ზღურბლზე, რასაც სკანდალი მოჰყვა, ნაკრები უმწვრთნელოდ რჩებაო. ერიკსონმა კი თქვა მაშინ, ისე ვიყავი, სტუმრადო და შედეგიც სკანდალური არ ყოფილა, მაგრამ აქ მთავარი მისი და კინიონის მეგობრობაა. ისინი ერთად იყვნენ აბრამოვიჩის იახტაზე ორი წლის წინ და ესეც უბრალო სტუმრობად მოინათლა. სულ ბოლოს კიდევ, მედიის მოჩხრეკით კინიონი და ერიკსონი იმ ღამეს შეხვდნენ, როცა „ჩელსიმ“ სათასო მატჩი მოუგო „ნიუკასლს“, ამბობენ, ამ ორს დიდხანს ულაპარაკიათო.





მეგობრები რომც არ იყვნენ, შვედი ისედაც ბევრად მისაღები ვინმე ჩანს კინიონისთვის, ვიდრე მაურინიუ. საქმე ბიზნეს-გეგმას ეხება: აბრამოვიჩმა, ხელფასების ჩაუთვლელად, ნახევარი მილიარდი დაახარჯა „ჩელსის“ შენებას და კინიონი თვლის, რომ ხუთ წელიწადში საწარმო „ჩელსი“ მოგებაზე უნდა ამუშავდეს, ეს კი მაურინიუს ხელში ძნელი წარმოსადგენია. იმიტომ, რომ „ჩელსი“ ვერასოდეს მოიპოვებს საერთაშორისო კომერციულ პოპულარობას მაურინიუსნაირი მწვრთნელის ხელში.

კინიონს კი შეუძლია, მარტივად დათვალოს: თუ ერიკსონი მოდის, წყალი არ გაუვა, მას მადრიდიდან დევიდ ბექემი მოჰყავს. დევიდ ბექემი ფულის მანქანაა. წითელი და თეთრი მაისურების გენიალური გამყიდველი ლურჯ მაისურებსაც არანაკლები წარმატებით გაყიდის. ბექჰი ერიკსონის დიდი მეგობარია და ყველას ახსოვს, როგორ უმტკიცებდა შვედი გადაცმულ შეიხს, სადაც მივდივარ, თუნდაც „ასტონ ვილა“ იყოს, ბექჰიც იქ მოდისო. ბექემის გამოჩენა სპონსორთა ბევრად მძლავრ მოზიდვასაც ნიშნავს. მაურინიუს კი ბექემი არ უნდა, ასე იტყვის ხოლმე: უკვე 31 წლისაა და არ მინდა, გუნდი მოვაბეროო. მას ბექემზე ორი წლით უმცროსი მიხაელ ბალაკის ყიდვა უნდა. არ არის ურიგო არჩევანი, მაგრამ ბალაკი ოქროს ვერ მოიტანს. ამიტომაც ამბობენ, რომ „ჩელსიში“ წინაალმდეგობა გაღრმავდება და ზემოთ ნაამბობი არცთუ ძნელი ასახდენი ჩანსო.

# ლივერპული აბირჟავდა

## მურსმა წილი გამოფინა




**„ლივერპულმა“** განაცხადა, რომ კლუბის თავმჯდომარემ დევიდ მურსმა შესაძლოა თავისი წილი აქციები გაყიდოს, მურსის წილი კი უმრავლესია.

როგორც ირკვევა, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულს საფონდო ბირჟისთვის წერილი მიუწერია, სადაც აღუნიშნავს, რომ არსებობს პოტენციურ ინვესტორთა შორთლისტი, თუმცა მეტი არაფერი დაკონკრეტებულა. ცნობილია, რომ „ლივერპული“ ბოლო ორი წელიწადია, ეძებს დამფინანსებელს, რათა ინგლისურ პრემიერლიგაში ადგილი უძლიერესთა შორის დაიმკვიდროს და ახალი, 296 მილიონ დოლარიანი სტადიონის აშენება შეძლოს. მოგეხსენებათ, „ლივერპულმა“ პრემიერლიგაში ბოლოს 1990 წელს გაიმარჯვა და მას მერე „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ჩრდილშია, ამ ბოლო დროს კი რომან აბრამოვიჩის ფულის წყალობით „ჩელსიმაც“ გადაასწრო.

არსებობს ჭორი, რომ შესაძლო ინვესტორთაგან ერთ-ერთი ესპანელი ხუან ვილიალონგაა, თუმცა ეს, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ჭორია. ექსპერტების ვარაუდით, დევიდ მურსის 51,5 პროცენტი წილის გაყიდვით „ლივერპულს“ 348 მილიონი დოლარი შეუვა.

2004 წელს „ლივერპულისადმი“ ინტერესს იჩენდნენ ტაილანდის პრემიერ-მინისტრი თაქსინ შინივატრა, ინგლისელი ბიზნესმენი სტივ მორგანი, მედია-ჯგუფი სახელწოდებით L4 და ამერიკელ მაგნატების კრაფტთა ოჯახი.

**პაპუნა ძედია**



დევიდ მურსი

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპელო ბიჭებს დაიბარებს

**არსენალი (ინგლისი) 2:0 იუვენტუსი (იტალია)**

1:0 ფაბრეგასი (40), 2:0 ანრი (69)
არსენალი: ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, პირესი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები, რეიესი (ვან პერსი 82), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, მუტუ (კიელინი 72), ტრეზეგე (ზალაიეტა 79), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კამორანეზი, ტრეზეგე, ვიეირა, ძებინა, კამორანეზი, ძებინა
გაძევება: კამორანეზი (87), ძებინა (89)
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
38 500 მაყურებელი





**ტურინის** „იუვენტუსს" არ ჰყავდა პაველ ნედვედი და ალესანდრო დელ პიერო, მაგრამ „არსენალს" სოლ კემპბელი, ეშლი კოული და ფრედი ლიუნგბერგი აკლდა. შესაძლოა, „ბებერი ქალბატონის" დანაკლისი უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ სერია A-ს ლიდერმა „ჰაიბერიზე" ცუდად ითამაშა და მარცხს იმსახურებდა.

მატჩის დებიუტი იტალიელებს ცუდს არაფერს უქადდა. ისინი გააზრებულ ფეხბურთს თამაშობდნენ, მეტოქეს გასაქანს არ აძლევდნენ და ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ. ემერსონისა და იბრაჰიმოვიჩის მონაწილეობით ერთი სახიფათო მომენტიც შეიქმნა. საპასუხოდ ფრანსესკ ფაბრეგასმა შეუტია, მაგრამ ბურთი აეჭრა. „მეთოფეებმა" ბუფონის კართან მწვავე ეპიზოდები საჯარიმო დარტყმებითაც შექმნეს, თუმცა „იუვეს" კარში სამჯერ საეჭვო ჯარიმა დაინიშნა და ერთ-ერთს კინაღამ გოლიც მოჰყვა, როდესაც ტიერი ანრიმ სასტვენს არ დაუცადა და ისე დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

მე-40 წუთზე შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი დადგა. „ჰაიბერიზე" დაბრუნებულმა პატრიკ ვიეირამ თავი იმით გამოიჩინა, რომ მოედნის ცენტრში ბურთი დაკარგა. მას რობერ პირესი წამოეპარა, ბურთი აართვა და ტიერი ანრი მონახა, რომელმაც გადააწოდა ფაბრეგასს, სესკმაც პატარა პაუზის შემდეგ კუთხეს დაუმიზნა, ლილიან ტურამის ფეხებსშუა გააძვრინა ბურთი და ჯანლუიჯი ბუფონი გაოგნებული დატოვა.

მეორე ტაიმმა „არსენალის" სრული უპირატესობით ჩაიარა. „იუვე" რამდენჯერმე ბუფონმა იხსნა. საპასუხოდ კი აპენინელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქეს. ნედვედისა და დელ პიეროს არყოფნა აშკარად იგრძნობოდა. დავიდ ტრეზეგესთვის პასის მიმცემი არავინ ჩანდა. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ფაფხურობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. იგივე ითქმის ადრიან მუტუზეც. მაურო კამორანეზიც უთავბოლოდ დარბოდა და ზედმეტად აგრესიული ჩანდა. საბოლოოდ მან წითელი ბარათიც მიიღო. არგენტინელს მალევე ჯონათან ძებინაც მიჰყვა და იტალიელებმა მატჩი 9 კაცით ჩაამთავრეს.

მეორე გოლი კი მატჩის ორმა გმირმა გამოაცხო. „არსენალმა" საჯარიმო სწრაფად გაითამაშა და ტურინელებიც დაიბნენ. შედეგად, ფაბრეგასი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, ბოლო მომენტში ბურთი ანრის დაუბრუნა, რომელმაც ვარდნაში გადაგზავნა ცარიელ კარში.

„იუვენტუსს" სასწაულები არაერთხელ მოუხდენია, მაგრამ ახლა ეს გაუძნელდება, მით უმეტეს, რომ საპასუხო მატჩში დისკვალიფიცირებული ვიეირა, კამორანეზი და ძებინა არ იქნებიან. ხოლო მოასწრებს თუ არა ალესანდრო დელ პიერო მომჯობინებას, ჯერ უცნობია.

არსენ ვენგერი: „ჩვენი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით მეორე ტაიმით. ჭკვიანურად ვითამაშეთ, შეიძლებოდა ერთი გოლით მეტიც გაგვეტანა. დარწმუნებული ვარ, შემდეგ ეტაპზე გავალთ, მაგრამ ჯერ საქმის ნახევარი გავაკეთეთ, რომელიც ბოლომდე ტურინში უნდა მივიყვანოთ".

„პირველი ტაიმი მშვენივრად მიდიოდა და გოლი სულელურად გავუშვით. ფაქტობრივად ვაჩუქეთ მეტოქეს. ასევე შეიძლებოდა მეორე გოლის არგაშვებაც. ყველაზე მეტად წითელმა ბარათებმა დამწყვიტა გული, რაზეც ბიჭებს დაველაპარაკები. ასეთი შეცდომები მიუღებელია, თუმცა ძებინას გაგდებისას მსაჯმაც გადაამეტა. გარდა ამისა, მან კოლო ტურეს უხეშობაზე რამდენჯერმე დახუჭა თვალი. მთლიანობაში შედეგი ლოგიკური იყო. „არსენალმა" ბრწყინვალედ ითამაშა. თავი მძიმე მდგომარეობაში ჩავიგდეთ, მაგრამ შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებთ" — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

**გიორგი ძაძაგაძე**

# არწივი ვნახე... იძახდა წიავ-წიავსა

**ბენფიკა (პორტუგალია) 0:0 ბარსელონა (ესპანეთი)**

ბენფიკა: მორეტო, რიკარდუ როჩა, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, ბეტუ, პეტიტი, მ. ფერნანდეში, სიმაო, ჟოვანი (კარაგუნისი 68), რობერი (მიკოლი 46)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, ოლეგერი, მოტა, ვან ბრონკჰორსტი, დეკო (გაბრი 76), ვან ბომელი, ინიესტა, რონალდინიო, ეტოო, ლარსონი (ჟიული 76)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ინიესტა, მიკოლი, დეკო, ბელეტი
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
65 000 მაყურებელი



მორეტომ შოუ გამართა

**ფრანკ რაიკარდის** „ბარსელონა" ლისაბონში „ბენფიკასთან" უგოლო ფრეს ვერ ასცდა. კატალონიელებმა, სულ მცირე, რვა საგოლე მომენტი მაინც შექმნეს, თუმცა მასპინძელთა ახმახი მეკარის, მორეტოს დაჯაბნვა ვერ მოახერხეს. მან რომ კარი მშრალად შეინახა, ამაში „ბარსას" მოიერიშეთა უზუსტობამაც შეუწყო ხელი. ეტოომ, ლარსონმა და ვან ბომელმა ძალიან მომენტები გააცუდეს და „ბარსა" — „ბენფიკას" ჯახის ბედიც ერთ კვირაში, „კამპ ნოუზე" გაირკვევა.

რაიკარდის ბიჭებმა, გრანდთა წესისამებრ, უმალ შეუტიეს, თითქოს არც „და ლუჟზე" შეკრებილი იმჩადა მაჩნდათ რამედ და არც „ბენფიკას" ამაყი სიმბოლო, არწივი, რომელიც შეხვედრამდე თავს დასტრიალებდა მოედანს სტუმართა დასათრგუნად.

მეხუთე წუთზე „მორეტოს შოუ" დაიწყო. „ბარსელონასთან" შერკინებამდე პორტუგალიურ გაზეთები შიშობდნენ, რომ „ბენფიკას" მეკარეს არ შეშლოდა და, როგორც გამოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ. მორეტომ თავისიანის მიერ საჯარიმოში მიწოდებული ბურთი მოულოდნელად იგდო ხელს და მსაჯმა სტივ ბენეტმაც თავისუფალი დარტყმა დანიშნა, მაგრამ რონალდინიომ ვერ გაიტანა.

მე-15 წუთზე ანდრეს ინიესტამ ორი პორტუგალიელი მოატყუა და თითქოს ანგარიშიც უნდა გაეხსნა, თუმც დარტყმა არ გამოუვიდა. „ბენფიკა" კი „ბარსას" იერიშებს შორეული, ძლიერი დარტყმებით პასუხობდა — მასპინძლები მეტოქის დაცვის ჯებირის გარღვევას ვერა და ვერ ახერხებდნენ და „ბარსელონას" მეკარე ვალდესს შორიდანღა აწუხებდნენ. თუმც „არტილერისტები", მანუელ ფერნანდეში, ბეტო და პეტიტი ამაოდ დაშვრნენ.

მე-20 წუთზე რონალდინიო-ეტოოს კომბინაცია დეკოს გოლით უნდა დაეგვირგვინებინა, მაგრამ პორტუგალიელს თითქოს ტრიბუნებიდან წამოსულმა თანამემამულეთა ლანძღვა-გინებამ დააკარგვინა წონასწორობა და გატანა ვერ შეძლო.

ამის შემდეგ „და ლუჟის" მთავარ გმირად ისევ მორეტო იქცა. ლარსონმა ვან ბომელს გადააწოდა, 50-მეტრიანი დრიბლინგის მერე მეკარესთან პირისპირ გასულმა ჰოლანდიელმა კი მორეტოს მოტყუება ვერ მოახერხა. მერე ბრაზილიელმა მეკარემ ეტოოს და ვან ბომელის დარტყმები უკუაგდო.

მეორე ტაიმში მოედანზე „ბენფიკას" ციცქნა იტალიელი ფორვარდი ფაბრისიო მიკოლი გამოჩნდა და „ბარსას" მცველებს, მოტას და ოლეგერს, საზრუნავი მოემატათ. მერე ის იყო, რომ ლარსონმა და ტიაგო მოტამ ორჯერ მოარტყეს მორეტოს კარის ძელს ბურთი, მსაჯმა ბენეტმა კი „ბენფიკას" ნაღდი პენალტი დაუმალა. მოტას ხელზე მოხვდა ბურთი, რაც არბიტრს გამოეპარა. საბოლოოდ 0:0 და „არწივებს" „კამპ ნოუზე" მართლაც ომის გადახდა მოუწევთ. „საუბედუროდ, გატანა ვერ შევძელით, თუმც შედეგი არც ისე ცუდია" — განაცხადა რაიკარდმა თამაშის შემდეგ.

„მსაჯი უსამართლოდ მოგვექცა. ის პენალტი რომ შეგვეგდო, ბარსელონაში გაცილებით გულდაჯერებულნი წავიდოდით" — თქვა გულდაწყვეტილმა რონალდ კუმანმა.

**ლადო ხომერიკი**



## უეფას თასი 2005-06. 1/4ფინალი. პირველი მატჩები. დღეს

СЕВИЛЬЯ

სევილია (ესპანეთი) — ზენიტი (რუსეთი)
ლევსკი (ბულგარეთი)) — შალკე (გერმანია)
რაპიდი (რუმინეთი) — სტიაუა (რუმინეთი)
ბაზელი (შვეიცარია) — მიდლსბრო (ინგლისი)

# ბუქარესტი შუაზე გაიყო

**ესპანური** „სევილია“ „ზენიტთან“ მატჩს კარგ ხასიათზე ხვდება. ხუანდე რამოსის შეგირდებმა პრიმერადივიზიონის ბოლო ორი შეხვედრა საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან, „ატლეტიკოსთან“ და „ვალენსიასთან“ მოიგეს, ორივე 1:0. საინტერესოა, რომ ამ მატჩებში სევილიელებმა სამი პენალტი ვერ გაიტანეს.

„სევილიას“ ფონს გასვლა ტრავმირებული ენცო მარესკას, აიტორ ოსიოსა და ივიცა დრაგუტინოვიჩის გარეშე მოუწევს თამაში. სამაგიეროდ, მომჯობინდა შავკანიანი ფორვარდი არიზა მაკუკულა, მაგრამ იგი ჯერ ფორმაში არ არის. რაც შეეხებათ რუსებს, ისინი მეტოქეს ფაქტობრივად უდანაკარგად სტუმრობენ. ვლასტიმილ პეტრჟელამ გასულ უქმეებზე „ამკართან“ მოგებულ შეხვედრაში ნორვეგიელი მცველი ერიკ ჰაგენი და თავდამსხმელი ალექსანდრ კერჟაკოვი დაასვენა.

ხუანდე რამოსი: „კარგი განწყობა უნდა შევინარჩუნოთ, ყურადღებით თამაშია საჭირო“.

საინტერესო მატჩი გაიმართება ბუქარესტში. ქალაქურ დერბიში ერთმანეთს „რაპიდი“ და „სტიაუა“ შეებმებიან. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ერთბაშად 10 ყვითელბარათიანი ფეხბურთელი ჰყავთ და ფრთხილად უნდა ითამაშონ. მალდარასანუ და კარამიანი კი ტრავმირებულნი არიან. სტუმრებს გაბრიელ ბოსტინა დისკვალიფიცირებული ჰყავთ, ვიქტორას იაკობი დაშავებულა, მცველ დორინ გოიანის თამაში კი საეჭვოა.

„რაპიდი“ მიმდინარე სეზონში მერვე საშინაო მატჩს ითამაშებს ევროტურნირებზე. წინა შვიდი შეხვედრა ბუქარესტელებმა ისე მოიგეს, რომ გოლიც არ გაუშვიათ და ეს უკვე რეკორდია, მაგრამ თუ მერვესაც მიაყოლებენ, „ფერენცვაროშის“ მიღწევას გააუმჯობესებენ.

„რუმინული ფეხბურთისთვის ეს სეზონი ძალიან წარმატებულია. ორი გუნდი მეოთხედფინალში გვყავს და ეს უკვე მიღწევაა. დარწმუნებული ვარ, ნახევარფინალში ჩვენ გავალთ. — განაცხადა „რაპიდის“ მწვრთნელმა რაზვან ლუჩესკუმ.

„ჩვენი ცხოვრების მატჩს ვითამაშებთ და ბოლომდე დივიხარჯებით. ეს უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა“ — აღნიშნა „სტიაუს“ მწვრთნელმა კოზმინ ოლარიუმ.

„შალკე“ ახლა უეფას თასის მთავარ ფავორიტად ითვლება. სხვათა შორის, შემორჩენილი 8 კლუბიდან აქამდე ეს ტურნირი მხოლოდ გელზენკირხენელებს აქვთ მოგებული. თუმცა გერმანელებს სოფიაში ადვილი გასეირნება ნამდვილად არ ელით. „ლევსკიმ“ უეფას თასზე ბოლო 6 საშინაო მატჩიდან ყველა მოიგო და აქედან ხუთში გოლი არ გაუშვია. ვთქვათ ისიც, რომ „შალკეს“ ბრაზილიელი მცველი რაფინია არ ეყოლება.

„არავინ გვთვლის ფავორიტად, მაგრამ ცდებიან“ — თქვა „ლევსკის“ თავმჯდომარე ტოდორ ბატკოვმა.

ინგლისური „მიდლსბრო“ კი შვეიცარიაში „ბაზელს“ სტუმრობს.


კოზმინ ოლარიუ


რაზვან ლუჩესკუ

სტივ მაკლარენის შეგირდებმა გასულ უქმეებზე მომქანცველი მატჩი ჩაატარეს, მათ 4:3 მოუგეს „ბოლტონს“. „ბაზელის“ თამაში „ქსამაქსთან“ კი სტადიონის უხარისხობის გამო გადაიდო და კრისტიან გროსის შეგირდები მეტოქეს დასვენებული ხვდებიან.

„მიდლსბრო“ ჯორჯ ბოატენგს და ლი კეტერმოლს ვერ დაიხმარს. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან. სამაგიეროდ, მაკლარენს ფორვარდების პრობლემა არ აქვს. იაკუბუ აიეგბენიც, მარკ ვიდუკაც და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკიც მშვენიერ ფორმაში არიან. პირველს მიმდინარე სეზონში 19 გოლი აქვს გატანილი, ხოლო მეორეს და მესამეს 11-11.

შვეიცარიელებს შემადგენლობაში გაცილებით სერიოზული პრობლემა აქვთ. გუნდს ძირითადის 5 ფეხბურთელი დააკლდება. მათ შორის ორი არგენტინელი ფორვარდი — კრისტიან ხიმენესი, ხულიო როსი და ასევე გამოცდილი მცველი პატრიკ მიულერი.

**კოკი კანდელაკი**



# რამდენად რეალურია რუნი?

**მადრიდის** „რეალის“ უფროსობამ მოიფიქრა ვინ გააძლიერებს თავდასხმას — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი უეინ რუნი. სატრანსფერო იდეა ჯერ „ჩასახვის პროცესშია“, თუმც „რეალში“ რუნისკენ მიმავალ გზას კარგად იცნობენ. სანამ „ევერტონის“ ყმაწვილი თავდამსხმელი „მანჩესტერში“ გადავიდოდა (2004 წლის აგვისტო), რუნის აგენტები ჯერ „რეალს“ დაუკავშირდნენ, თუმცა მაშინდელმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა უეინი დაიწუნა — ფიცხი ხასიათისაა, აყალმაყალი უყვარს და საქმეს გულდასმით არ მოეკიდებაო. დღეს რუნი „იუნაიტედის“ ერთ-ერთი ლიდერია და „ბერნაბეუზეც“ როგორც იქნა, დაიჯერეს, რომ ინგლისელი სამეფო გუნდში ბურთაობასაც მშვენივრად მოახერხებს. უეინ რუნი „რეალის“ ყოჩაღი ყმაწვილების, რობინიოს, სისინიოს, სერხიო რამოსის და, ვინ იცის, იქნებ სესკის და ხაბი ალონსოს გვერდითაც წარმოუდგენიათ — მადრიდელები ხომ ამათ ყიდვასაც აპირებენ.

„მანჩესტერში“ კი არეულობაა. შესაძლოა, ეს „რეალის“ პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. საქმე ის გახლავთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონს ახალი გუნდის აწყობა სწორედ რუნის, რიო ფერდინანდის და კრიშტიანუ რონალდუს გარშემო სურს. თუმც ამას „მანჩესტერის“ მფლობელი ოჯახი არ ეთანხმება. გლეიზერები მზად არიან, გაყიდონ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. მადრიდული „ასის“ ცნობით, გლეიზერთა თვალში ტრანსფერზე დასაყენებელი უპირველესი კანდიდატი რუუდ ვან ნისტელროოია, თუმც ფერნანდო მარტინი შეეცდება, ალბიონელებს სწორედ უეინ რუნი გამოსტყუოს.

გარდა რუნისა, „რეალს“ სხვათა შეძენაც აინტერესებს. იგივე „ასი“ გვამცნობს, რომ მადრიდული აგენტურა „ჩელსის“ არიენ რობენს, „ლიონის“ მაჰამადუ დიარას და „რომას“ კრისტიან კივუს ზვერავს. სავარაუდოთა სიაში დელ ორნო და ფაბიო აურელიოც არიან.

### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
ბარნლი 1:1 საუთჰემპტონი
პრესტონი 1:0 ძრიუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 40 | 27 | 11 | 2 | 82:26 | 92 |
| შეფილდი | 40 | 23 | 9 | 8 | 68:41 | 78 |
| უოტფორდი | 40 | 20 | 12 | 8 | 70:46 | 72 |
| ლიდსი | 40 | 20 | 12 | 8 | 54:33 | 72 |
| კრ. პალასი | 40 | 19 | 10 | 11 | 60:41 | 67 |
| პრესტონი | 40 | 15 | 19 | 6 | 49:28 | 64 |
| ვულვზი | 40 | 14 | 17 | 9 | 44:34 | 59 |
| კარდიფი | 40 | 16 | 11 | 13 | 52:45 | 59 |
| ნორვიჩი | 40 | 15 | 8 | 17 | 49:57 | 53 |
| იფსვიჩი | 40 | 13 | 14 | 13 | 47:55 | 53 |
| ლუთონი | 40 | 15 | 7 | 18 | 59:61 | 52 |
| ქოვენთრი | 40 | 13 | 13 | 14 | 53:59 | 52 |
| ქუინზ პარკი | 39 | 12 | 13 | 14 | 43:52 | 49 |
| პლიმუთი | 40 | 11 | 15 | 14 | 33:41 | 48 |
| სტოკი | 39 | 14 | 6 | 19 | 40:53 | 48 |
| ლესტერი | 40 | 11 | 14 | 15 | 45:52 | 47 |
| ბარნლი | 40 | 13 | 8 | 19 | 44:52 | 47 |
| დერბი | 40 | 9 | 18 | 13 | 50:56 | 45 |
| ჰალი | 40 | 11 | 12 | 17 | 44:50 | 45 |
| საუთჰემპტონი | 40 | 8 | 19 | 13 | 37:45 | 43 |
| უენსდი | 40 | 10 | 11 | 19 | 33:49 | 41 |
| მილუოლი | 40 | 7 | 15 | 18 | 31:52 | 36 |
| ბრაიტონი | 40 | 5 | 17 | 18 | 34:60 | 32 |
| ქრიუ | 40 | 6 | 13 | 21 | 46:79 | 31 |

### პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩი
პოგონი 1:0 ზაგლებე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 21 | 13 | 5 | 3 | 33:12 | 44 |
| ვისლა | 21 | 12 | 7 | 2 | 33:15 | 43 |
| ამიკა | 21 | 10 | 6 | 5 | 37:19 | 36 |
| ზაგლებე | 19 | 9 | 4 | 6 | 33:23 | 31 |
| კორონა | 19 | 7 | 7 | 5 | 30:24 | 28 |
| ლეხი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:28 | 27 |
| კრაკოვია | 21 | 7 | 5 | 9 | 23:33 | 26 |
| პოგონი | 19 | 6 | 7 | 6 | 22:22 | 25 |
| ოდრა | 20 | 6 | 6 | 8 | 17:22 | 24 |
| პლოცკი | 18 | 7 | 3 | 8 | 21:27 | 24 |
| გურნიკი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:28 | 22 |
| გროცლინი | 20 | 6 | 4 | 10 | 25:33 | 22 |
| ლეჩნა | 19 | 4 | 9 | 6 | 15:17 | 21 |
| არკა | 19 | 4 | 8 | 7 | 15:21 | 20 |
| ბელხატოვი | 21 | 4 | 7 | 10 | 18:29 | 19 |
| პოლონია | 20 | 4 | 4 | 12 | 15:34 | 16 |

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14,
877 54 55 00

# სანტანა ცუდადაა



**ბრაზილიური** ფეხბურთის ისტორიაში ორი ულამაზესი, 1982 და 1986 წლების ნაკრების შემქმნელი მწვრთნელი ტელე სანტანა ბელო ორიზონტეს საავადმყოფოშია. 74 წლის სანტანას 1996-ში გულის შეტევა მოუვიდა, რის გამოც მუშაობას თავი დაანება, თუმცა ახლა საავადმყოფოში მისი დაწვენის მიზეზი ნაწლავური ინფექციაა.

ფეხბურთელობისას სანტანა რიო დე ჟანეიროს „ფლუმინენსეში“ თამაშობდა, ბოლო პერიოდში, კერძოდ 1992 და 1993 წლებში კი „სან პაულუ“ მიიყვანა კოპა ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასების ტრიუმფამდე.

# დროგბამ ყელში ამოუყვანა. დროგბას ყელში ამოუყვანეს

**ლონდონის** „ჩელსის“ ფორვარდმა დიდიე დროგბამ შესაძლოა სეზონის ბოლოს კლუბი გამოიცვალოს. მან ამაზე ფიქრი მას მერე დაიწყო, რაც საკუთარმა ფანებმავე დაუწყეს სტვენა და საყვედურები. „ჩელსის“ ქომაგები დროგბას გახშირებული თეატრალური ვარდნებითა და სიმულაციით არიან უკმაყოფილონი.

წინა შაბათს „ჩელსიმ“ „მანჩესტერ სიტის“ კოტდივუარელის დუბლით მოუგო და იგი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. თუმცა ლონდონელთა ქომაგების არცთუ მცირე ნაწილი სხვანაირად ფიქრობს და აკი მატჩის მსვლელობისასვე დროგბას სტვენა არ „დაამადლეს“. თანაც, 28 წლის თავდამსხმელმა მეორე გოლი ხელით გაიტანა და შემდგომ არც დაუმალავს, რომ ეს განზრახ გააკეთა.

„ნამდვილად შესაძლებელია, დიდიემ „სტემფორდ ბრიჯი“ დატოვოს. მით უმეტეს, თუ „ჩელსის“ ფანებისგან შეურაცხმყოფელი სტვენა გაგრძელდა“ — ამბობენ დროგბას ახლობლები.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

**B ჯგუფი**

**ინგლისი, პარაგვაი ტრინიდადი, შვედეთი**

# სიგარების მოყვარული ლეო: ყველაფერმა ძალიან დამღალა



ლეო ბეენჰაკერი

**ტრინიდადსა და ტობაგოში** სულ მილიონ ასი ათასი ადამიანი ცხოვრობს. კარიბეთის ამ ქვეყანას არც დიდი საფეხბურთო ისტორია უმაგრებს ზურგს, მაგრამ ფაქტი ფაქტია: გუნდმა, რომლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას არცთუ დიდი ხნის წინ არავინ დაიჯერებდა, შესარჩევი შეჯიბრება დაძლია და გერმანიაში დაგვენახვება.

პირველ ეტაპზე ტრინიდადელებმა მოუგეს დომინიკელებს და გავიდნენ მეორე ეტაპზე, სადაც მოხვდნენ ჯგუფში, რომელშიც მათ გარდა იყვნენ მექსიკა, სენტ ვინსენტი და გრენადინები და სენტ კიტსი და ნევისი. ამ ჯგუფში ტრინიდადი მეორე ადგილზე გავიდა და გადაბარგდა მესამე ეტაპზე, სადაც აგრეთვე იყვნენ აშშ, ზემოხსენებული მექსიკა, კოსტა რიკა, გვატემალა და პანამა. სტარტი ტრინიდადელებს საშინელი გამოუვიდათ — ერთი ქულა სამ თამაშში, რაც თავდაპირველი პროგნოზების ასრულებას ნიშნავდა, მაგრამ მოხდა ასეთი რამ, მწვრთნელად ბერტილ სენტ კლეარის ნაცვლად ლეო ბეენჰაკერი მოვიდა და ყველაფერი შემოატრიალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯგუფის ბოლო თამაში, რომელშიც „ტტ“-მ პორტ ოფ სპეინში თვით მექსიკას მოუგო 2:1 და ბაჰრეინთან პლეი ოფში მოხვდა. და კუნძულელთა საბედნიეროდ, განსხვავებით 1989 წლისგან, როდესაც ტრინიდადი და ტობაგო იტალია 90-ისგან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო, მაგრამ აშშ-მ დაამარცხა, ამჯერად ყველაფერი მათ სასიკეთოდ მოტრიალდა: ბაჰრეინში 1:0 იმარჯვეს, შინ კი 1:1 ითამაშეს.

* * *

*შესარჩევ ტურნირის ვარსკვლავი:* ინგლისური „რექსჰემის“ მცველი დენის ლოურენსი. მან ბაჰრეინის ნაკრებს ისტორიული თავური გაუტანა.

* * *

*მწვრთნელი:* ჰოლანდიელი ლეო ბეენჰაკერია 1942 წელს როტერდამში დაბადებული უცნობილესი საფეხბურთო მოღვაწე, რომელიც სათავეში ედგა „აიაქსს“, „ფეიენოორდს“, „რეალს“, „სარაგოსას“ და მექსიკურ „ამერიკას“. სანაკრებო დონეზე ბეენჰაკერს უმუშავია მშობლიურ ჰოლანდიასა და საუდის არაბეთში.

ლეო ბეენჰაკრი აგრეთვე ცნობილია, როგორც სიგარების დიდი მოყვარული და ხშირად გამმეორებელი ფრაზისა: „ყველაფერმა ძალიან დამღალა“.

* * *

*კაპიტანი* და უდიდესი ვარსკვლავი კი საყოველთაოდ ცნობილი დუაიტ იორკია, 33 წლის თავდემსხმელი, 90-იანი წლების უძლიერესი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი. იორკს ნაკრებში 59 თამაში აქვს ჩატარებული და 26 გოლი გატანილი. 2001 წელს მან გამოაცხადა, რომ ნაკრებიდან მიდის, რისი მიზეზიც მისი ახლო მეგობრის რასელ ლატაპის სამწვრთნელო ფიასკო გახლდათ, მაგრამ შარშან გადათქვა და 2006-ის შესარჩევ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა.

დუაიტ იორკი 1989 წელს ვესტ ინდოეთში ტურად მყოფი „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა გრემ ტეილორმა აღმოაჩინა და 120 ათასი გირვანქის საფასურად ინგლისში წაიყვანა. 1998 წელს „ვილამ“ ტრინიდადელი ფორვარდი „მანჩესტერ იუნაიტედს“ 12,6 მილიონად მიჰყიდა. „იუნაიტედის“ შემდეგ კი იყო ორწლიანი „ბლექბერნი“ და სულ მოკლევადიანი „ბირმინგემ სიტი“. ახლა ის „სიდნეიში“ თამაშობს და მრავალმილიონიან პენტჰაუსში ცხოვრობს. ავსტრალიაში ვეტერანმა ფუნქცია იცვალა, გამთამაშებელია და „სიდნეის“ კაპიტანიც გახლავთ.

მისი საყვარელია ცნობილი ბრიტანელი სუპერმოდელი ჯორდანი, რომელთანაც შვილი სახელად ჰარვი ჰყავს.

* * *

„ტტ“-ს ძლიერი მხარე ლეო ბეენჰაკერის გონება და დუაიტ იორკია, სუსტი მხარე კი დანარჩენ მოთამაშეთა დაბალი კვალიფიკაცია.

* * *

*აზრი:* „ტრინიდადი და ტობაგო გერმანიას ისე გაანათებს, როგორც არავის არასდროს გაუნათებია. ფიფა ამ ქვეყნით იამაყებს“ — ამბობს ადგილობრივი ჟურნალისტი ჯეკ უორნერი.



ნაკრების მთავარმეკარე შაკა ჰისლოპი



დუაიტ იორკი

## ტრინიდადის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

10 ივნისი ტრინიდადი — შვედეთი დორტმუნდი
15 ივნისი შვედეთი — ტრინიდადი ნიურნბერგი
20 ივნისი პარაგვაი — ტრინიდადი კაიზერსლაუტერნი

## ტრინიდადის გზა ფინალური ეტაპისაკენ

### I საკვალიფიკაციო წრე

| | | |
|---|---|---|
| 13.06.2004 | დომინ. რესპუბლიკა — ტრინიდადი | 0:2 |
| 20.06.2004 | ტრინიდადი — დომინ. რესპუბლიკა | 4:0 |

### II საკვალიფიკაციო წრე. III ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 18.08.2004 | სენტ ვინსენტი — ტრინიდადი | 0:2 |
| 04.09.2004 | სენტ კიტსი — ტრინიდადი | 1:2 |
| 08.09.2004 | ტრინიდადი — მექსიკა | 1:3 |
| 10.10.2004 | ტრინიდადი — სენტ კიტსი | 5:1 |
| 13.10.2004 | მექსიკა — ტრინიდადი | 3:0 |
| 17.11.2004 | ტრინიდადი — სენტ ვინსენტი | 2:1 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 6 | 6 | 0 | 0 | 27:1 | 18 |
| ტრინიდადი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:9 | 12 |
| სენტ ვინსენტი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| სენტ კიტსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:24 | 0 |

### III საკვალიფიკაციო წრე. ფინალური ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 09.02.2005 | ტრინიდადი — აშშ | 1:2 |
| 26.03.2005 | გვატემალა — ტრინიდადი | 5:1 |
| 30.03.2005 | ტრინიდადი — კოსტა რიკა | 0:0 |
| 04.06.2005 | ტრინიდადი — პანამა | 2:0 |
| 08.06.2005 | მექსიკა — ტრინიდადი | 2:0 |
| 17.08.2005 | აშშ — ტრინიდადი | 1:0 |
| 03.09.2005 | ტრინიდადი — გვატემალა | 3:2 |
| 07.09.2005 | კოსტა რიკა — ტრინიდადი | 2:0 |
| 08.10.2005 | პანამა — ტრინიდადი | 0:1 |
| 12.10.2005 | ტრინიდადი — მექსიკა | 2:1 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| მექსიკა | 10 | 7 | 1 | 2 | 22:9 | 22 |
| კოსტა რიკა | 10 | 5 | 1 | 4 | 15:14 | 16 |
| ტრინიდადი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| გვატემალა | 10 | 3 | 2 | 5 | 16:18 | 11 |
| პანამა | 10 | 0 | 2 | 8 | 4:21 | 2 |

### IV საკვალიფიკაციო წრე. პლეი ოფი

| | | |
|---|---|---|
| 12.11.2005 | ტრინიდადი — ბაჰრეინი | 1:1 |
| 16.11.2005 | ბაჰრეინი — ტრინიდადი | 0:1 |

დასაწყისი წინა „სარბიელში“

# როგორ იყიდა ბეკენბაუერმა კაიზერ ფრანცი



ფრანც ბეკენბაუერი არჩევანის წინაშე იდგა. რა იქნება მომავალში? ისე, როგორც დაბერებული ფრანც როტი „ბაიერნის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე 100-მეტრიანი დისტანციის ბოლოს გრძნობადაკარგული დაეცემა, რის შემდეგაც საკაცეზე დააწვენენ და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაიყვანენ, საიდანაც, ცხადია, მოედანზე აღარასოდეს დაბრუნდება? „ადიდასის“ ფირმაში სპორტული ფეხსაცმლის დისტრიბუტორად აიყვანენ და თვეში 2000 მარკას დაუნიშნავენ თუ გერმანიის საფეხბურთო კავშირში მოხელედ მოეწყობა, რის მერეც შეიძლება წელიწადში 120 ათას მარკად ნაკრების მეორე მწვრთნელობამდე გაიზარდოს? კაცმა რომ თქვას, შეიძლება „ადიდასში“ მუშაობაც კარგი ყოფილიყო და გერმანიის საფეხბურთო კავშირშიც, მაგრამ... ერთი რამ ცხადი იყო, „კაიზერ ფრანცი“ თავს ველარ მოიტყუებდა, თითქოს წლები არ გასულიყო და სხეული ძველებურად ახალგაზრდა ჰქონოდა, ველარ ივლიდა წინ და უკან გუნდთან ერთად მთელ ქვეყანაში და წელიწადში ექვს თვეს ლამ-ლამობით გერდ მიულერის ხვრინვას ველარ მოუსმენდა.

ასეთ განსჯას საინტერესო სტიმულიც დაემატა: საგადასახადო სამსახურმა ბეკენბაუერს არგადახდილი მილიონი მოუძებნა. ლაპარაკი იყო ხელფასიდან და სარეკლამო ჰონორარებიდან გასასტუმრებელ თუ არგასტუმრებულ გადასახადზე, რომლის სახელმწიფოსთვის გადარიცხვაც „კაიზერს“ დიდი უარის და ცნობილი ვექილების ჩარევის მიუხედავად მაინც მოუხდა — გრიუნველდში მისი ათოთახიანი და აუზიანი ვილა მილიონ ექვსასი ათასად გაიყიდა. და კიდევ, ცნობილი გაზეთი „ველტი“ აქვეყნებს სტატიას, სადაც წერია, რომ ფრანც ბეკენბაუერს პირად ცხოვრებაში პრობლემები აქვს, კერძოდ, მავანი მიუნხენელი ფოტოგრაფი ქალის გამო ცოლს ეყრება. ამ წერილიდან მეორე დღეს ასეთივე სტატიითაა დამშვენებული „აბენდცაიტუნგი“. მოგვიანებით „კაიზერმა“ თქვა, რომ ეს იყო მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე კვირა, რომლის განმავლობაშიც მას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავზე დიდი ვედრით განავალი დაასხეს.

და იმავე დღეს, როდესაც ბეკენბაუერის თემას „აბენდცაიტუნგი“ გამოეხმაურა, „კაიზერ ფრანცმა“ ჩვენი წერილის დასაწყისში მოხსენიებულ რობერტ შვანს მიაშურა, რომელიც წლების მანძილზე მისი მენტორი და მრჩეველი გახლდათ. „წამიყვანე ნიუ იორკის „კოსმოსში“, სასურველია აღდგომამდე“ — მიახალა ფრანცმა შვანს, ტელევიზორში „მიონხენგლადბახისა“ და კიოვის „დინამოს“ თამაშს, რომ უყურებდა და „ჰამბურგ“ — „რეალისთვისაც“ ემზადებოდა. შვანმა აზედა, „კაიზერს“ ეს თამაშები საერთოდ არ აინტერესებდა. NO PROBLEM — თქვა მენტორმა, დაუყოვნებლივ მოშორდა ტელევიზორს და ამერიკაში გადარეკა. NO PROBLEM — შეჰყვირა „კოსმოსის“ პრეზიდენტმა კლაივ ტოიმ ლას ვეგასიდან. ერთი ხნის შემდეგ ვითარების გასაცნობად ჩასულ ფრანც ბეკენბაუერს ნიუ იორკში დიდებული დახვედრა მოუწყვეს: ის ჰუძონზე გადაფრენილი ვერტმფრენით პირდაპირ „ჯაიანთზე“ დასვეს. ვერტმფრენიდან ლამაზად ჩანდა მწვანე ხელოვნური მინდორი და წითელი ტრიბუნები. ყველაფერი უცხო იყო. „უნდა გაბედო. ახლა უკან დახევა არ შეიძლება“ — უთხრა ბეკენბაუერმა თავს.

საბოლოოდ კი „კაიზერ ფრანცი“ ნიუ იორკში 24 მაისს „ლუფტჰანზას“ რეისით ჩაფრინდა. იმ დილით მიუნხენის აეროპორტში დედმამა აცილებდა. „მშვიდობით, ფრანც“ — ისე უთხრა დედამ, თითქოს სამუდამოდ კარგავდა შვილს. ყოველთვის სენტიმენტალური მამა კი ატირდა. კიდევ კარგი, თავად „კაიზერს“ მზის სათვალე ეკეთა... ის შეტრიალდა და გეითისკენ გაემართა. უცბად:

„ეი, ფრანჩესკო“ — ფრანცი მოტრიალდა და ზეპ მაიერი შერჩა ხელში. მაიერის გვერდით დიტმარ კრამერი იდგა თეთრი სვიტრით. კიდევ იყვნენ ფოტოგრაფები და ორასამდე ქომაგი.

ვინ იყო ზეპ მაიერი? გერმანიის ნაკრებისა და „ბაიერნის“ მეკარე, მსოფლიოს ჩემპიონი და სხვა მხრივაც დიდად ტიტულოვანი, წლების განმავლობაში რომ ჩაჰყვიროდა ბეკენბაუერს: ეი, მარცხნივ გადააწოდე! ეი, სულელო, მე გადმომიგდე!

ბეკენბაუერმა უცბად სიტყვები ვერ იპოვნა. შემდეგ მოახერხა: „აბა, ზეპ, იცოდე, ამდენი გოლი აღარ გაუშვა“.

„კარგი, აღარ გავუშვებ და იქნებ დაბრუნდე“ — გაისმა პასუხად.

...ნიუ იორკის სასტუმრო „სენტ რეჯისი“, ოთახი ნომერი 1105/1106, მოკლედ ძალიან მდიდრული და გაპრანჭული რამ. თავიდან აქ დააბინავეს ფრანც ბეკენბაუერი, რომლის შესახებაც „დეილი ნიუზის“ 92-ე გვერდზე პატარა წერილიც გამოქვეყნდა. აქ, 200 კორესპონდენტის თანდასწრებით, საგანგებოდ გაწყობილ დიდ მაგიდაზე გერმანელმა ვარსკვლავმა და ნიუ იორკის „კოსმოსმა“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ბეკენბაუერი ამ ხნის განმავლობაში 6 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ჯაიანთსზე“ ვარჯიშია. ცხელა, იწვის ყველაფერი. მწვრთნელის ასისტენტი, ვინმე ჯულიო მაცეი ფრანც ბეკენბაუერთან მიდის და განმკლავი-ზემკლავის ტიპის რაღაცას უხსნის, მერე კი აკვირდება, რამდენად კარგად ასრულებს შეგირდი. „კაიზერი“ თავს სკოლის მოსწავლედ გრძნობს, არადა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია. შემდეგ მოთამაშეებს ბუცებს ურიგებენ. ბუცები საგანგებოა, ხელოვნური საფარის გათვალისწინებით შეკერილი, შავი რაღაცები უკეთია. იწყება ბურთიანი ვარჯიში. ფრანცი თავისი საყვარელი გრძელი პასის დაგემოვნებას ცდილობს, მაგრამ... ამ მოედანზე პასი ქაღალდის გაფხაჭნას უფრო ჰგავს, ვიდრე ბურთის გადაგდებას. აბა, გაგორებული ბურთი როგორ მიდის? ვაგლახ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბურთს ხახუნის ძალა არსად არ აჩერებს. როგორც ჩანს, ამერიკაში თანაგუნდელს ბურთი ზონაში არ უნდა შეუგდო[illegible]

შემდეგ ფრ[illegible] შვანი მიდის. „მე შენი უფროსი აღარ ვარ, უბრალოდ, რობერტი დამიძახე“ — ეუბნება მამობილი შვილობილს და ბავარიის ბანკის ნიუ იორკის ფილიალში ანგარიშს ახსნევინებს. „კოსმოსი“ ფრანც ბეკენბაუერის სახელზე ფულს ყოველ ორ კვირაში ერთხელ აქ ჩარიცხავს.

„კოსმოსში“ ბეკენბაუერს მეექვსე ნომერი ერგო.

„წრე შეიკრა — იხუმრა „კაიზერმა“ ჟურნალისტებთან — კარიერა 4 ნომრით დავიწყე, ტიტულები 5 ნომრით მოვიპოვე და 6-ით ვასრულებ“.

და აი, პირველი თამაშიც, ფლორიდაში „ტამპა ბეისთან“. ჰაერის ტემპერატურა 38 გრადუსია, ტენიანობა 80 პროცენტი. სუნთქვა ჭირს, ხელოვნურ მინდორს მზე ავარვარებს. სტადიონზე ვიღაც გოგონები ცეკვავენ, მოკაზმული ჯარისკაცები თოფებს ცას უმიზნებენ. დინამიკიდან შემადგენლობა ისმის. „კაიზერ ფრანცი“, ყვირის ვიღაც, მას კი ჰგონია, რომ სხვაზეა ლაპარაკი.

პელე! — ამ შეძახილზე ბეკენბაუერის ყველაზე ცნობილი თანაგუნდელი მესიასივით ხელებგაშლილი გადის ხალხთან.

იწყება თამაში. რამდენი ბეკენბაუერი ბურთს იღებს, იმდენი დინამიკში მისი გვარი ისმის. ეს კიდევ არაფერი, იმავე დინამიკიდან ხალხს წარამარა აფრთხილებენ, რომ ხელით თამაშის უფლება მარტო მეკარეს აქვს და არ გაუკვირდეთ, სხვები ბურთს ფეხს რომ ჰკრავენ. უარესი ამბავია ტაბლო-ეკრანზე. ნებისმიერი სწორი გადაცემის შემდეგ იწერება „აი, კარგი პასი“, ხოლო ჯარიმის შემდეგ იხატება დამტუქსავად მოქანავე თითი და ინთება ასოები: „ეს არ ვარგა“. დაახლოებით იგივეა ჯარიმების დროს, იწერება „მიდი“ და დარტყმის მომენტში დინამიკში გონგის ხმა ისმის.

ფრანც ბეკენბაუერს თავში ყველაფერი ერევა. ხვდება, რომ სადღაც სხვაგან არის და გარშემო რაღაც სიგიჟე ტრიალებს. „ახლა, ალბათ წავიქცევი, გონებას დავკარგავ და აზრზე მიუნხენში მოვალ“ — გაიფიქრა მან, მაგრამ...

„კაიზერ ფრანცმა“ ამერიკაში რამდენიმე წელიწადი დაჰყო, იქ, სადაც მის გარდა იყვნენ ვუდი ალენი, ბიორნ ბორგი, ლაიზა მინელი, მიკ ჯაგერი და სხვა დიდი ვარსკვლავები.








# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 4 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 15:45 | 6 | ბირმინგემი-ჩელსი | 7.50 | 4.50 | 1.35 | 2.81 | 1.14 | 1.03 |
| 18:00 | 9 | ბოლტონი-მანჩესტერი | 3.85 | 3.30 | 1.90 | 1.77 | 1.27 | 1.20 |
| 18:00 | 11 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 18:00 | 13 | ფულემი-პორტსმუთი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 18:00 | 15 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 20:15 | 16 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 14 | სიტი-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 19:00 | 18 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 8 | ბლექბერნი-უიგანი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 20 | კრისტალ პალასი-უოტფორდი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 21 | ქოვენტრი-პრესტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 15:00 | 22 | ჰალი-ლიდსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 23 | ლუტონი-იფსვიჩი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 18:00 | 24 | მილუოლი-ბრაიტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 25 | ნორვიჩი-ლესტერი | 1:95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 26 | პლიმუთი-ვულვერჰემპტონი | 2.65 | 2.90 | 2.50 | 1.38 | 1.28 | 1.34 |
| 18:00 | 27 | ქპრ-ქრიუ | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 28 | რედინგი-დერბი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 18:00 | 29 | უენსდი-ბარნლი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 30 | საუთჰემპტონი-კარდიფი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 31 | სტოკი-შეფილდი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 33 | ჰარტლპული-ოლდემი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:45 | 34 | ტრანმერი-პორტ ვეილი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 1 აპრილი | | | | | | | | |
| 18:00 | 35 | ბლეკპული-უოლსოლი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 36 | ბორნმუთი-საუთენდი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 18:00 | 37 | ბრედფორდი-სკანთორპი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 38 | ბრისტოლი-იოვილი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 39 | ჩესტერფილდი-ნოტინგემი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 40 | კოლჩესტერი-ბრენტფორდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 15:00 | 41 | დონკასტერი-როტერჰემი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 18:00 | 42 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 43 | დონსი-ჯილინგემი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 46 | ბოსტონი-ბარნეტი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 47 | ჩესტერი-მაკლსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 48 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 49 | გრიმსბი-რექსემი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 50 | მენსფილდი-ოქსფორდი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 51 | ნოტსი-ლეიტონი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 52 | პიტერბრო-ნორთჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 53 | რაშდენი-ტორკი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 54 | შრიუსბერი-ჩელტენემი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 55 | სტოკპორტი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 56 | უიკომბი-როვერსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 77 | ინვერნესი-აბერდინი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 78 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 73 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 79 | კლაიდი-ერდრი | 1.80 | 3.30 | 3.65 | 1.16 | 1.20 | 1.73 |
| 18:00 | 80 | ქუინი-როსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 81 | სტ.ჯონსტონი-სტრანრარი | 1.55 | 3.80 | 4.50 | 1.10 | 1.15 | 2.06 |
| 18:00 | 82 | სტ.მირენი-ჰამილტონი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 86 | ეარი-სტირლინგი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 18:00 | 87 | ფორფარი-რეითი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 88 | პარტიკი-ალოა | 1.50 | 4.00 | 4.80 | 1.09 | 1.14 | 2.18 |
| 18:00 | 89 | პიტერჰედი-მორტონი | 2.55 | 3.10 | 2.35 | 1.39 | 1.22 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 91 | ალბიონი-ისტ სტირლინგი | 1.65 | 3.50 | 4.00 | 1.12 | 1.16 | 1.86 |
| 18:00 | 92 | არბროთი-ქუინს პარკი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 18:00 | 93 | ისტ ფაიფი-ელგინი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 18:00 | 94 | მონტროუზი-ბერიკი | 4.80 | 3.80 | 1.55 | 2.12 | 1.17 | 1.10 |
| 18:00 | 95 | სტენჰაუსმური-კოუდენბითი | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-კიოლნი | 1.17 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 4.02 |
| 17:30 | 98 | აინტრახტი-ვერდერი | 3.40 | 3.30 | 2.00 | 1.67 | 1.25 | 1.24 |
| 17:30 | 99 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 17:30 | 100 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 101 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 17:30 | 102 | ნიურნბერგი-მაინცი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 17:30 | 103 | ვოლფსბურგი-დუისბურგი | 1.70 | 3.40 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 104 | ჰანოვერი-არმინია | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 19:30 | 105 | შალკე-ჰამბურგი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 180 | იუვენტუსი-ბელინცონა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 194 | ლეჩე-მილანი | 6.00 | 3.60 | 1.50 | 2.25 | 1.20 | 1.05 |
| 20:00 | 196 | ტრევიზო-იუვენტუსი | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |
| 22:30 | 198 | ინტერი-მესინა | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 200 | კიევო-ლივორნო | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| 17:00 | 201 | ფიორენტინა-რომა | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 17:00 | 202 | ლაციო-ემპოლი | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 17:00 | 203 | პალერმო-ასკოლი | 1.70 | 3.20 | 5.30 | 1.11 | 1.28 | 1.99 |
| 17:00 | 204 | რეჯინა-სიენა | 2.35 | 2.30 | 4.20 | 1.16 | 1.50 | 1.48 |
| 17:00 | 205 | სამპდორია-კალიარი | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 17:00 | 206 | უდინეზე-პარმა | 1.95 | 2.90 | 4.20 | 1.16 | 1.33 | 1.71 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 208 | ტორინო-კატანია | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 209 | ალბინოლეფე-არეცო | 2.65 | 2.60 | 2.70 | 1.31 | 1.33 | 1.32 |
| 18:00 | 210 | აველინო-პიაჩენცა | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 18:00 | 211 | ბოლონია-ჩეზენა | 2.20 | 2.70 | 3.30 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 18:00 | 212 | ბრეშა-მანტოვა | 2.10 | 2.70 | 3.70 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 213 | კრემონეზე-ბარი | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 18:00 | 214 | კროტონე-ვერონა | 1.90 | 2.80 | 4.00 | 1.13 | 1.28 | 1.64 |
| 18:00 | 215 | რიმინი-ატალანტა | 3:00 | 2.60 | 2.50 | 1.39 | 1.36 | 1.27 |
| 18:00 | 216 | ტერნანა-კატანძარო | 1.65 | 3.20 | 4.60 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 18:00 | 217 | ვიჩენცა-მოდენა | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 218 | ტრიესტინა-პესკარა | 2.25 | 2.50 | 3.50 | 1.18 | 1.36 | 1.45 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 240 | ბარსელონა-რეალი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 22:00 | 245 | სოსიედადი-მალაგა | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 22:00 | 248 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 238 | ალავესი-ბილბაო | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| 21:00 | 239 | ატლეტიკო-სელტა | 2.00 | 3.10 | 3.70 | 1.21 | 1.29 | 1.68 |
| 23:00 | 241 | ბეტისი-სევილია | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 19:00 | 242 | დეპორტივო-რასინგი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 243 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 244 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 19:00 | 246 | ვალენსია-კადისი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 249 | ეიბარი-ნუმანსია | 2.90 | 2.80 | 2.40 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| 20:30 | 252 | სპორტინგი-ჰერკულესი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |
| 20:30 | 257 | ეხიდო-რეალი(ბ) | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 20:30 | 258 | ტენერიფე-სიუდადი | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 250 | ელჩე-უელვა | 2.60 | 2.70 | 2.75 | 1.32 | 1.33 | 1.36 |
| 20:00 | 251 | ფეროლი-მალაგა ბ | 2.15 | 2.80 | 3.40 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 14:00 | 253 | ლევანტე-ალმერია | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 20:00 | 254 | ლეიდა-ალბასეტე | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 255 | ლორკა-კასტელონი | 1.65 | 3.10 | 5.00 | 1.07 | 1.24 | 1.91 |
| 21:00 | 256 | მურსია-ტარაგონა | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 21:00 | 259 | ვალიადოლიდი-სერესი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 19:15 | 261 | ლილი-ოსერი | 1.90 | 3.00 | 4.20 | 1.16 | 1.30 | 1.75 |
| 22:00 | 262 | მეცი-ლანსი | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| 22:00 | 264 | ნანტი-მარსელი | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.32 | 1.32 | 1.45 |
| 22:00 | 265 | ნიცა-სტრასბური | 2.00 | 3.00 | 3.85 | 1.20 | 1.31 | 1.68 |
| 22:00 | 267 | სოშო-აიაჩო | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| 22:00 | 268 | სტ.ეტიენი-მონაკო | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 19:15 | 269 | ტრუა-ლიონი | 4.70 | 3.20 | 1.75 | 1.90 | 1.27 | 1.13 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 260 | ლე მანი-ნანსი | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 22:45 | 266 | პსჟ-ბორდო | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 20:00 | 271 | ტულუზი-რენი | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 273 | კაენი-გენიონი | 1.80 | 3.10 | 3.90 | 1.13 | 1.23 | 1.72 |
| 22:30 | 274 | კლერმონი-შატორუ | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| 22:30 | 275 | დიჟონი-ლე ავრი | 2.00 | 2.70 | 3.80 | 1.14 | 1.31 | 1.57 |
| 22:30 | 277 | გენგამი-რეიმსი | 2.25 | 2.60 | 3.50 | 1.20 | 1.36 | 1.49 |
| 22:30 | 278 | ისტრი-ამიენი | 2.10 | 2.60 | 3.90 | 1.16 | 1.36 | 1.55 |
| 22:30 | 279 | ლავალი-ვალენსიენი | 2.80 | 2.70 | 2.60 | 1.37 | 1.34 | 1.32 |
| 22:30 | 280 | ლორიანი-მონპელიე | 1.80 | 2.90 | 4.20 | 1.11 | 1.25 | 1.71 |
| 22:30 | 281 | სედანი-ბრესტი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:30 | 282 | სეტე-კრეტეი | 2.80 | 2.70 | 2.40 | 1.37 | 1.29 | 1.27 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 276 | გრენობლი-ბასტია | 2.75 | 2.70 | 2.60 | 1.36 | 1.33 | 1.32 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 283 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 285 | გენტი-ბრიუგე | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:00 | 286 | სერკლი-ლიერსი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 287 | გენკი-ბრიუსელი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| 22:00 | 288 | ბეერსხოტი-რუსელარე | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:00 | 289 | ლუვე-სტ.ტრუიდენი | 2.25 | 3.00 | 3.00 | 1.28 | 1.28 | 1.50 |
| 22:00 | 290 | სტანდარდი-მუსკრონი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 22:00 | 292 | ვარეგემი-ბევერენი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 293 | ვესტერლო-შარლერუა | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 304 | უტრეხტი-ვალვაიკი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 305 | დენ ჰააგი-ტილბურგი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 21:30 | 306 | ჰერაკლესი-სპარტა | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:30 | 307 | როზენდალი-პსვ | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| 22:00 | 309 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 14:30 | 310 | როდა-აიაქსი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 312 | ალკმაარი-ბრედა | 1.40 | 4.00 | 7.20 | 1.03 | 1.17 | 2.57 |
| 16:30 | 314 | ფეიენოორდი-ტვენტე | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 16:30 | 316 | გრონინგენი-ვიტესი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.34 | 1.80 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 334 | ბრაგა-ნასიონალი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 22:00 | 328 | გიმარაეში-სპორტინგი | 3.80 | 3.20 | 1.90 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| 23:45 | 331 | ბელენენსეში-ბენფიკა | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 335 | ნავალი-ფერეირა | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 330 | ამადორა-აკადემიკა | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 333 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:00 | 336 | პენაფიელი-ლეირია | 3.40 | 3.30 | 1.95 | 1.67 | 1.23 | 1.22 |
| 23:15 | 338 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:30 | 340 | რიუ ავე-სეტუბალი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 16:00 | 350 | აეკ-ლევადიაკოსი | 1.18 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.05 | 3.75 |
| 16:00 | 351 | აკრატიტოსი-პაოკ | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 16:00 | 352 | ატრომიტოსი-იონიკოსი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 16:00 | 353 | ეგალეო-ოლიმპია | 2.10 | 2.90 | 3.35 | 1.21 | 1.29 | 1.55 |
| 16:00 | 354 | ირაკლისი-ოლიმპიაკოსი | 3.70 | 3.10 | 1.90 | 1.68 | 1.25 | 1.17 |
| 16:00 | 357 | ქსანთი-პანათინაიკოსი | 3.65 | 3.10 | 1.90 | 1.67 | 1.24 | 1.17 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 367 | ტრაბზონი-კონია | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 21:00 | 368 | დიარბაქირი-ფენერბაჩე | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 454 | გაის-იორგრიტე | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 455 | აიკ-გეფლე | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 457 | გიოტებორგი-ოსტერსი | 1.40 | 3.80 | 6.00 | 1.02 | 1.13 | 2.32 |
| 21:00 | 459 | მალმიო-ჰეკენი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 533 | ბაზელი-მიდლსბრო | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 534 | ლევსკი-შალკე | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 21:30 | 535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| 23:00 | 536 | სევილია-ზენიტი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 14:20 | 539 | იაპონია-ეკვადორი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 564 | მარაკაიბო-პუმასი | 1.55 | 3.30 | 5.70 | 1.05 | 1.21 | 2.08 |
| 23:45 | 565 | ნასიონალი-ლიბერტადი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **ევროლიგა** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 828 | ბოლონია-რეალი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 22:45 | 831 | ულქერი-მაკაბი | 3.10 | 12.00 | 1.20 | 2.46 | 1.00 | 1.09 |
| 22:45 | 832 | ქალკირისი-ოლიმპიაკოსი | 1.50 | 12.00 | 2.30 | 1.33 | 1.00 | 1.93 |
| 22:45 | 834 | ბარსელონა-უნიკახა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10533 | ბაზელი-მიდლსბრო | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10534 | ლევსკი-შალკე | 3.40 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.48 | 1.13 |
| 10535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10536 | სევილია-ზენიტი | 2.05 | 2.10 | 4.80 | 1.03 | 1.43 | 1.46 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11533 | ბაზელი-მიდლსბრო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11534 | ლევსკი-შალკე | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11536 | სევილია-ზენიტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 1.70 ------ 1.90
12534 ლევსკი-შალკე ------------------ 1.70 ------ 1.90
12535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 1.70 ------ 1.90
12536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.70 ------ 1.90

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 1.70 ------ 1.90
13534 ლევსკი-შალკე ------------------ 1.70 ------ 1.90
13535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 1.70 ------ 1.90
13536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.90 ------ 1.70

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 1.80 ------ 2.00
14534 ლევსკი-შალკე ------------------ 2.00 ------ 1.75
14535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 1.85 ------ 1.95
14536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.30 ------ 2.50

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15533 | ბაზელი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15534 | ლევსკი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | სევილია-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 1.50 ------ 2.20
16534 ლევსკი-შალკე ------------------ 2.00 ------ 1.60
16535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 1.60 ------ 1.90
16536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.20 ------ 3.10

### გოლი:ლუწი-1,კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 1.85 ------ 1.95
17534 ლევსკი-შალკე ------------------ 1.85 ------ 1.95
17535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 1.85 ------ 1.95
17536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.85 ------ 1.95

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

18533 ბაზელი-მიდლსბრო ------------------ 2.35 --------- 1.45
18534 ლევსკი-შალკე ------------------ 3.30 --------- 1.25
18535 რაპიდი(ბ)-სტიაუა ------------------ 2.00 --------- 1.65
18536 სევილია-ზენიტი ------------------ 1.55 --------- 2.25

## ძალოსნობა

# რას იტყვის რუსეთი?

## ძალოსნები პოლონეთისთვის პოლონურად ემზადებიან



გურამ [illegible] ფოტო

*საქართველოს ძალოსანთა ნაკრებმა შარშან რუსეთის ახალგაზრდული გუნდიდან ევროპის პრიზიორი ალბერტ კუზილოვი გადმოიყვანა. ვანო გრიქუროვი პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ახალ გუნდს აკეთებს და კუზილოვიც მის ერთ-ერთ ძლიერ წევრად იგულისხმება, თუმც როდის შეძლებს ქართული დროშით ფიცარნაგ ზე გასვლას, ჯერაც უცნობია. ამ საკითხზე გუშინ ნაკრების თავკაცს ტელეფონით შევეხმიანეთ. გრიქუროვი პოლონურ ჩეხანოშია ექვს შეგირდთან ერთად. პოლონეთშივე გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და სასაუბრო კუზილოვის თემის გარდა ბევრი დაგროვდა*



გურამ [illegible] ფოტო

— ალბერტი ევროპის ჩემპიონატის განაცხადში უკვე შევიყვანეთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, მოვახერხებთ თუ ვერა მის გამოყვანას.

— როდის გადაწყდება?

— ჩემპიონატის დაწყებამდე ტექნიკური კონფერენციები იმართება ხოლმე და სწორედ მასზე მივიღებთ საბოლოო პასუხს.

— რუსებისგან?

— რა თქმა უნდა. თუ მათ თანხმობა თქვეს, კუზილოვის საკითხს წინ ველარაფერი დაუდგება. ხოლო თუ უარი მივიღეთ, მაშინ დისკვალიფიკაციის ვადის გასვლას უნდა დაველოდოთ. კუზილოვი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების სახელით ბოლოს შარშან, ოქტომბერში გამოვიდა. რუსების თანხმობის გარეშე შტანგას საქართველოს სახელით წლევანდელ ოქტომბრამდე ვერ აწევს. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატსაც გამოტოვებს და მსოფლიოსაც.

— რუსებთან მოლაპარაკება უკვე დაიწყეთ?

— ოფიციალური არა. მათ შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვესაუბრე. კონკრეტული პასუხი არ მიმიღია, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, უარი არ უნდა თქვან. ბოლო პერიოდში არ გვისაუბრია, ევროპის ჩემპიონატს ველოდებით.

— ევროპის ჩემპიონატი მაისის დასაწყისშია. იქამდე თბილისში ჩამოსვლას ხომ არ გეგმავთ?

— პოლონეთში საკმაოდ კარგი პირობები გვაქვს. ჯობს, ჩემპიონატამდე აქვე ვივარჯიშოთ. ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის, თუმც მცირე პრობლემები მაინც გამოერევა ხოლმე. ოპტიმალურ ფორმამდე ჯერ ყველას ბევრი უკლია. ამ ეტაპზე ასეც უნდა იყოს.

— არსენ კასაბიევმა ბოლომდე მოიშუშა ტრავმა?

— თითქმის ერთი თვეა, ვარჯიში დაიწყო. უკვე სრული დატვირთვით ემზადება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ევროპის ჩემპიონატი საერთოდ გამოვატოვებინო. თუ ექიმები იტყვიან, რომ დიდ სიმძიმეებთან შეჭიდებამ შეიძლება ტრავმა გაუმიზეზოს, დავასვენებ. წლეულს ხომ მთავარი ტურნირი შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია.

— ამ მსოფლიოზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების გაცემა იწყება...

— აქამდე ლიცენზიებს მხოლოდ ოლიმპიადისწინა ერთი მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებით იძლეოდნენ, ახლა კი ორი წლის შედეგები ჯამდება.

— ეს ჩვენთვის უკეთესია?

— პირიქით. ახალგაზრდული ნაკრები გვყავს და ჯობდა, მარტო მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ქულები დათვლილიყო. ბიჭები თვიდან თვემდე უმატებენ და, თქმაც არ უნდა, გაისისთვის უფრო მოძლიერდებოდნენ.

— მაინც რამდენი ლიცენზიის აღებას გეგმავთ?

— ძალოსნობაში ოლიმპიადის საგზურების გაცემა სხვა სახეობებისგან განსხვავებულად ხდება. ჩემპიონატზე მთელი გუნდის ქულები ჯამდება. თუ წლევანდელ მსოფლიოზე 70 ქულა დავაგროვეთ, მომავალზე კი 85, ვფიქრობ, ოთხ ლიცენზიას ავიღებთ. აქამდე ქართული რეკორდი სამი ლიცენზიაა.

— ევროპის პირველობაზე რა შემადგენლობას აყენებთ?

— პოლონეთში ექვს კაცს ვავარჯიშებ. არსენ კასაბიევი, ალბერტ კუზილოვი, გია მაჭავარიანი, ზვიად სამუკაშვილი, ზაურ ცირეკიძე და ალეკო ნოზაძე ის ძალოსნები არიან, რომელთაც სალიცენზიო ტურნირებში ქულები უნდა მოაგროვონ. ევროპაზე კი, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამათგან მხოლოდ ნოზაძე დაგვაკლდება. ტრავმა ჰქონდა და ვარჯიში ახლახან განაახლა.

— მაისამდე რომელიმე ტურნირზე გამოსვლასაც ხომ არ აპირებთ?

— სატურნირო გამოცდილება მართლაც ძალიან საჭიროა. აქამდეც გამოვიდოდით, პოლონეთში მსგავსი ტურნირი რომ გამართულიყო. იმედია, ევროპირველობამდე რამეს ჩაატარებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## კალათბურთი

# აზოტი ძალიან აზარტობს

*მას შემდეგ, რაც რუსთავის „აზოტმა“ აზერბაიჯანიდან მობრუნებული ზვიად ბაბიაშვილი და ჟოლივეტ ტუჯანი შეიმატა, თამაში არ წაევო და ამ ბოლოს „ავიამშენთან“ ორი მარცხი იწვნია. თასის ნახევარფინალში ავიატორებმა მკაცრი განაჩენი გამოუტანეს რუსთაველებს, ჩემპიონატის ბოლო ტურშიც დაჯაბნეს და ერთგვარი ეჭვიც გაჩნდა, „აზოტს“ „ავიატორული კომპლექსი“ ხომ არ დაემართაო. ქვემოქართლელთა თავკაცმა ოთარ ხმელიძემ ვითარებაში იოლად გაგვარკვია...*



გურამ [illegible] ფოტო

— რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს „აზოტი“ მოსამზადებლად და შესათამაშებლად იყენებს. პლეი ოფამდე შედეგებს ყურადღებას არ ვაქცევთ. ამის მიზეზიც გვაქვს: მეორე ადგილზე ანაცვლების შანსი აღარაა, ხოლო მესამეზე გავალთ თუ მეოთხეზე, ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

— რატომ? იმას ხომ აქვს მნიშვნელობა, ვის შეხვდებით ნახევარფინალში?

— ჩემპიონობა გვინდა და არ გვაინტერესებს, ვის შევხვდებით ნახევარფინალში. გვინდოდა, პლეი ოფში მოედნის უპირატესობა გვქონოდა, მაგრამ ეს აღარ გამოვა, „ავიმშენი“ და თსუ უკვე მიუწვდომელები არიან.

— „ავიამშენთან“ ბოლო ორი მატჩი წააგეთ და ეგებ ამ გუნდთან არ გსურთ ნახევარფინალში შეხვედრა...

— თასის ნახევარფინალში მართლაც დასანანი მარცხი ვიწვნიეთ „ავიამშენთან“ და ამან ჩვენზე დიდად იმოქმედა. რაც შეეხება ჩემპიონატის ბოლო ტურს, გულით ვეცადეთ, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ მათი დამარცხება.

— გაჩნდა ეჭვი, რომ „აზოტს“ „ავიამშენთან“ მოგება ხელს არ აძლევდა და განზრახ დათმეთ მატჩი...

— არაა მართალი. გვინდოდა გამარჯვება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, თუმც ამის გამო არც არაფერი დაგვკლებია. ერთხელაც ვიტყვი, რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს „აზოტი“ შესათამაშებლად იყენებს და ეს წაგება არაფრს ნიშნავდა ჩვენთვის.

— „აზოტმა“ რუსი ცენტრფორვარდი იგორ კაუტინი შეიმატა, მაგრამ ის ჯერაც არ ჩამოსულა რუსთავში...

— კაუტინს ფეხი თაბაშირში აქვს და როცა ტრავმას მოირჩენს, შემოგვიერთდება. არ ვიცი, მოასწრებს თუ არა გამოჯანმრთელებას, მაგრამ პლეი ოფში ჩვენ კაუტინის დიდი იმედი გვაქვს.

— რატომ შეიმატეთ ცენტრალური თავდამსხმელი, „აზოტს“ ხომ წინა ხაზში ნაკლები პრობლემები აქვს?

— ბოლო მატჩმა დაგვანახა, რომ ფარქვეშ მთლად დალაგებულად არ გვაქვს საქმე. უკანა ხაზში საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეები გვყავს რამაზ გოგობერიშვილისა და არჩილ ჟღენტის სახით. ასე რომ, კაუტინი მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

28 მარტი

**შარლოტი 125:117 ატლანტა**
შარლოტი: უოლესი (41), ფელტონი (28)
ატლანტა: ჯონსონი (35), აივი (4), ჰარინგტონი (16), სმიტი (20), ფაჩულია (23 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა); ჩილდრესი (16), უილიამსი (14), ბატისტა (2)

**მილუოკი 132:110 ფინიქსი**
მილუოკი: რედი (28)
ფინიქსი: ნეში (23); ცქიტიშვილი (3 წუთი, 2 ქულა)

**ჩიკაგო 93:97 ორლანდო**
ჩიკაგო: ნოჩიონი (26)
ორლანდო: ნელსონი (24)

**კლიპერსი 87:98 სან ანტონიო**
კლიპერსი: ბრენდი (20)
სან ანტონიო: დანკანი (20)

**დეტროიტი 97:90 დალასი**
დეტროიტი: ბილაფსი (31)
დალასი: ნოვიცკი (25)

**მემფისი 97:98 სიეტლი**
მემფისი: გასოლი (44)
სიეტლი: ალენი (20)

**საკრამენტო 84:97 ვაშინგტონი**
საკრამენტო: ბიბი (20)
ვაშინგტონი: ბატლერი (23)

## სროლა

# სალუქვაძემ ფინალს ააცილა

**ჩინურ** გუანჯოუში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასზე გუშინ ქალები 10-მეტრიან დისტანციაზე პნევმატური პისტოლეტებით დადგნენ. შუადღემდე ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოვლინდნენ და პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზის მომპოვებელიც. სამწუხაროდ, ტურნირის ერთადერთმა ქართველმა მონაწილემ ნინო სალუქვაძემ ვერც ერთით გაიხარა.

ნინომ 380 ქულა დააგროვა და ოცდამეერთე ადგილი დაიკავა. ფინალში გასასვლელად კი სულ ცოტა, 384 სჭირდებოდა. ცნობისთვის: საუკეთესო შედეგით (390 ქულა) ფინალში ჩინელი ჯი რენი შევიდა. მართალია, იქ შედარებით ცუდად ისროლა, მაგრამ ოქროს მედლისთვის მაინც ეყო. ვერცხლი რუსმა სვეტლანა სმირნოვამ მოიპოვა, ბრინჯაო — სერბმა იასნა სეკარიჩმა.

სპორტული პისტოლეტით სროლაში მედლები ხვალ გათამაშდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. ვაჟები

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

მეხუთე წრე. 29 მარტი

**სტუ-შევარდენი 24:18 ხკ თბილისი**

**სტუ-შევარდენი:** რობაქიძე, კუპატაძე, წივწივაძე (გაიტანა 11 გოლი), ტალახაძე (4), ნიკოლაიშვილი (3), ნადირაძე (3), ჩუბინაშვილი (2), ამირან ყიფიანი (1), კობახიძე, ჯიშკარიანი, ცოტაძე, ომარ ყიფიანი, სვიმონიშვილი

**ხკ თბილისი:** სეთურიძე, გონჩაროვი, ქირია (5), სამარლანიშვილი (5), ნატროშვილი (3), გრიშკაშვილი (3), არაბული (1), ოსიყმაშვილი (1), ღალანიძე, ულენტი, ქარდავა

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**ქარიშხალა 27:15 სსსსუ-მამული**

**ქარიშხალა:** სამყურაშვილი, ტორონჯაძე, ბერძენიშვილი (6), მელქოშვილი (6), ჯოხარიძე (5), ჯორბენაძე (2), გოგალაძე (2), ლეჟავა (2), სიგუა (1), ჩიქოვანი (1), მსხვილიძე (1), საჯაია (1), ზაალიშვილი

**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, ადუაშვილი, მამაცაშვილი (4), მაისურაძე (4), მამასახლისი (4), ყაველაშვილი (3), ჭაფოძე, გველესიანი, შონია, კიზირია, ჩაჩანიძე, შალიკაშვილი

*მსაჯები:* ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი



გადარი კოპილაშვილის ფოტო

# ჩვენებური სე ლა ვი: თელავში

**გაურკვევლობის** პერიოდმა კარგა ხანს კი გასტანა, მაგრამ როგორც იქნა, საკითხი გადაწყდა და საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა დღეს ევროფედერაციაში ცნობას აგზავნის, რომ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი თბილისის ნაცვლად თელავში ჩატარდება.

თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლაში სარემონტო-მოსამზადებელი სამუშაოები დარბაზსა და გასახდელებში დამთავრებაზეა და უკვე ხუთი აპრილისთვის ყველაფერი მოგვარებული იქნება.

შეგახსენებთ, 20-წლამდელ ვაჟ ხელბურთელთა ოთხგუნდა შეჯიბრება რუმინეთის, პოლონეთის, კვიპროსისა და საქართველოს ნაკრებების მონაწილეობით 14-16 აპრილს გაიმართება. მომდევნო ეტაპზე ბრძოლას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გააგრძელებს.

თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში კი გუშინ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა, მეხუთე წრე დასრულდა. „ხელბურთის კლუბ თბილისს" სავიცეჩემპიონო დავაში უშუალო კონკურენტთან, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალასთან" მარცხის შემდეგ ძალზე შეუმცირდა სამეორეადგილო შანსი და ვითარების გამოსასწორებლად გუშინ უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენთან" მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. მამუკა მჟავანაძის ბიჭებმაც თავიდანვე მწვავე ბრძოლა გაუმართეს ფავორიტებს, მაგრამ ზემონდომებისა და ჯიგრით თამაშის მიუხედავად, თანაბრად მხოლოდ ოციოდე წუთს გაუძლიანდნენ.

ორივე გუნდმა ზონური დაცვა ამჯობინა და მეტოქეთა ლიდერებს პერსონალურად არ „იჭერდნენ". ანგარიში ტექნიკოსმა აკაკი ტალახაძემ გახსნა, იქვე გიორგი ნატროშვილმა საპასუხო გაიტანა. ანგარიში კიდევ სამჯერ გაყაიმდა, უკანასკნელად შუა ტაიმში — 5:5. მერე კი შევარდნებმა აიწყვიტეს და მატჩის ბედიც ხუთწუთეულში გადაწყდა, როცა „თბილისს" მიყოლებით ოთხჯერ გაუტანეს.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი წივწივაძემ 11 შედეგიანი ტყორცნა მიითვალა, 170 გოლი დაუგროვდა და უკვე 66-ით უსწრებს უახლოეს მდევარს, ქარიშხლელ რატი მსხვილიძეს.

„ქარიშხალას" აუტსაიდერ „მამულთან" თითქოს რთული მატჩი არ ელოდა, მაგრამ ისევე, როგორც წინა დღეს, მამულელები კარგა ხანს მედგრად ებრძოდნენ ძლიერ მოწინააღმდეგეს, თუმც ბოლოს ძალა გამოელიათ.

ამრიგად, ბექა ორჯონიკიძისა და გიორგი გოცირიძის გუნდმა ტურის სამივე შეხვედრა მოიგო და უფრო გაიმყარა სატურნირო ცხრილში მეორე პოზიცია.

ჩვენი ხელბურთის ასოციაციამ ამჯერად უარი თქვა აზერბაიჯანელი მსაჯების მოწვევაზე და ტურის თითქმის ყველა თამაშს თბილისელი გოგონები უძღვებოდნენ. მშვენივრადაც გაართვეს თავი საქმეს, რაზეც ის მეტყველებს, რომ მწვრთნელებს საშეჯიბრო კომისიის მიმართ, რომელსაც ვეტერანი ხელბურთელი ვახტანგ ბერიაშვილი ხელმძღვანელობს, პრეტენზია არ გასჩენიათ.

სწორედ „ქარიშხალას" მოთამაშეები შეადგენენ ახალგაზრდული ნაკრების ბირთვს, რომელსაც თელავში მოუწევს საქართველოს ღირსების დაცვა. საევროპოდ უკეთ მოსამზადებლად ნაკრების 16 კანდიდატი მთავარი მწვრთნელის ირაკლი კეკელიძისა და ბექა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დღეს საღამოს ბაქოში ერთი კვირით მიემგზავრება იქაურ კლუბებთან საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად. გუნდში „ქარიშხალას" 11 მოთამაშეა: *გაგა სამყურაშვილი, რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი სიგუა, ზურაბ მელქოშვილი, გიგა ტორონჯაძე, ილია გოგალაძე, გიორგი ჯოხარიძე, დავით საჯაია, ირაკლი ჩიქოვანი და თეიმურაზ ლეჟავა, აგრეთვე მიხეილ კუპატაძე, ამირან ყიფიანი, გიორგი კვერნაძე (სამივე „სტუ-შევარდენი"), ირაკლი ქირია („თბილისი"), უჩა მაისურაძე („მამული").*

ნაკრები თბილისში შვიდ აპრილს დაბრუნდება, ორ დღეში კი ბიჭები თელავში წავლენ იქაურ დარბაზთან შესაჩვევად.

**გია ახალაძე**

**ვითარება ხუთი წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 13 | 0 | 2 | +95 | 26 |
| ქარიშხალა | 9 | 0 | 6 | +35 | 18 |
| ხკ თბილისი | 7 | 0 | 8 | +36 | 14 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 14 | -166 | 2 |



კიბისკეინი. აშშ. ჰარდი

# ენდი ენად გაიკრიფა: ნუღარ იღელვებთ გამოუცნობის გამო

კაცები. საპრიზო 3 450 000 $

**მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — 6:3 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (32, არგენტინა) — 4:6 6:1 6:0; **ენდი როდიკი** (4, აშშ) — სიმონ გროილი (გერმანია) — 6:3 3:6 6:2; **დავიდ ფერერი** (11, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (29, ბელგია) — 6:7 7:6 7:5; **მარიო ანჩიჩი** (22, ხორვატია) — ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — 7:5 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — რადეკ შტეპანეკი (15, ჩეხეთი) — 6:3 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი** (6, ხორვატია) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) — 6:3 6:1; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ნიკლას კიფერი (16, გერმანია) — 3:6 6:3 7:5

ქალები. საპრიზო 3 450 000 $

**მეოთხედფინალი**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) — 6:3 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (12, რუსეთი) — აი სუგიამა (21, იაპონია) — 6:0 7:6;

ენდი როდიკმა წვალებით, მაგრამ მაინც მოუგო „დიდ უცნობს". ასე შეერქვა გერმანელ სიმონ გროილს, რომელსაც კიბისკეინამდე თითქმის არავინ იცნობდა. გროილს აქამდე ATP-ის დონეზე მხოლოდ ერთი მატჩი ჰქონდა მოგებული, ახლა კი მთლად მეოთხედფინალს უწია, წინა წრეში ჩინებულ ფორმაში მყოფი ტიმ ჰენმანიც კი შემოეჩოგნა.

გერმანელმა როდიკიც გააწვალა ცალკე თავისი გამოუცნობი თამაშით, ცალკე კი ვიდეოგამეორებების გამოყენებით, თუმც საბოლოოდ ამერიკელის კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

„ძალიან ძნელია მასთან თამაში, ხან უძლიერესად ურტყამს უკანა ხაზიდან, ხან კი ზედმეტად არბილებს თამაშს. მოკლედ, არ იცი, რას უნდა ელოდო მისგან. კიდევ კარგი, რომ მაინც მოვახერხე თამაშის მოგება... ახლა უფრო დაწყნარებული ვარ, არ ვნერვიულობ ყველა წაგებულ გათამაშებაზე. ჩაწოდებაც ერთი-ორად გავაუმჯობესე. ამიტომ მოვიგე კიდეც" — ენად გაიკრიფა როდიკი, რომელსაც შემდეგ წრეში დავიდ ფერერთან ელის შეხვედრა.

ერთი კვირის წინანდელი ინდიანუელსური ფინალის გადამღერებას ვიხილავთ კიდევ ერთ მეოთხედფინალში, სადაც ერთმანეთის პირისპირ როჯერ ფედერერი და ჯეიმს ბლეიკი დადგებიან.

ბლეიკმა პირველი სეტი კი წააგო ხუან-იგნასიო ჩელასთან, მაგრამ შემდეგ არ შეუშინდა ფლორიდის თაკარა მზეს და ისე სწრაფად ათამაშდა, არგენტინელს თავბრუ დაეხვა და მომდევნო ორ პარტიაში კინკილა გეიმის მოგებაღა შეძლო. აი, „მხიარულმა როჯერმა" კი იოლად გაიარა დმიტრი ტურსუნოვის ბარიერი, თუმც მატჩის შემდეგ მაინც თავის საყვარელ თემაზე წუწუნებდა — ამ ბოლო დროს ისეთ ჩოგბურთელებთან მიწევს შეხვედრა, რომლებთანაც მანამდე არ მითამაშია და ეს ურთულესი რამააო.

კიბისკეინის მეოთხედფინალს ორივე ხორვატმა უწია და დიდი შანსია, შინაური გარჩევა ნახევარფინალში მოაწყონ. თუმც მანამდე მარიო ანჩიჩს დავიდ ნალბანდიანის, ივან ლიუბიჩიჩს კი აგუსტინ კალერის დამარცხება მოუწევთ.

ამასობაში ქალებმა პირველი ნახევარფინალური წყვილიც შეადგინეს. მორიგი შოუ მოაწყო ამელი მორესმომ, რომელიც კიბისკეინში ლამისაა, დაფრინავს. ახლაც არცთუ სუსტი ნადია პეტროვა უშანსოდ დატოვა. არადა, რუსმა ერთი თვის წინ მორესმოს დოჰას ფინალში მოუგო. თუმც გუშინ ფრანგმა შურიც იძია და ერთხელაც მიანიშნა ყველას, რომ ფლორიდაში მხოლოდ მოსაგებად ჩავიდა.

მორესმო ნახევარფინალში სვეტლანა კუზნეცოვას შეხვდება, რომელიც თავის მხრივ იოლად გაუსწორდა აი სუგიამას. რუსს ბრძოლა მხოლოდ მეორე სეტში გადახდა, სადაც საქმე ტაიბრეიკამდეც მივიდა, მაგრამ კუზნეცოვამ ყველაფერი მაინც სათავისოდ მოამთავრა.



AFP კიბისკეინიდან

ენდი როდიკმა უცნობი გამოიცნო

„ნორმალურად ვითამაშე, მაგრამ ნახევარფინალში ისეთი მეტოქე მყავს, თუ კიდევ არ მოვუმატე, არაფერი მიშველის" — რეალურად უყურებს ნახევარფინალს კუზნეცოვა.

**ქახა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. წუხელ

**ლიონი (საფრანგეთი) 0:0 მილანი (იტალია)**

ლიონი: კუპე, კლერკი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ტიაგუ, მ. დიარა, პედრეტი (კლემანი 68), მალუდა, კარეუ (ფრედი 63), ვილტორდი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
მილანი: დიდა, კოსტაკურტა (მალდინი 62), ნესტა, კალაძე, სერჟინიო, გატუზო, პირლო (ფოგელი 85), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო (ინძაგი 62)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოსტაკურტა, ტიაგუ
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
40 000 მაყურებელი

**ინტერი (იტალია) 2:1 ვილიარეალი (ესპანეთი)**

0:1 ფორლანი (1), 1:1 ადრიანო (7), 2:1 მარტინსი (54)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ვომე, სტანკოვიჩი (კილი გონსალესი 82), ვერონი, კამბიასო, სეზარი (მატერაცი 69), ადრიანო, რეკობა (მარტინსი 28)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, პენა, სორინი, რიკელმე, არზო (კიკე ალვარესი 60), სენა, კალეხა (კაზორლა 87), ფორლანი, ხოსე მარი (ფრანკო 76)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: რეკობა, სორინი, სენა, სამუელი, ვერონი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
65 000 მაყურებელი



AFP

დიდი ხანია, ლიგას პაოლო მალდინი არ უნახავს



AFP

ადრიანომ დანაპირები შესრულა — გაიტანა

# როსო-ნერო-აძურის ანგარიში არ შეშლია

**მოდით,** კახა კალაძის ხათრით „ლიონისა" და „მილანის" შეხვედრით დავიწყოთ. „სტად ჟერლანზე" გოლი არ გასულა, მაგრამ უინტერესო მატჩი იყო, ან საგოლე ეპიზოდები არ შექმნილაო, ვერავინ იტყვის. ეგ იყო, მომენტები თითზე ჩამოსათვლელი გახლდათ.

დებიუტს აშკარად „მილანისა" ეთქმოდა. იტალიელები ლაღად და გააზრებულად თამაშობდნენ. მარტო ანდრეი შევჩენკოს ორი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ გრეგორი კუპემ ბრწყინვალედ ითამაშა და უკრაინელს ორივეჯერ ფეხით აუღო. ფრანგებმა რეალურად მწვავე ეპიზოდი ერთხელ შექმნეს — ბენუა პედრეტის ჩაწოდებულ ჯარიმას იონ კარეუ ვერ მიწვდა, ბურთი კალაძეს გაეხახუნა და მიწიდან მარჯვენა ცხრიანისკენ წავიდა, მაგრამ დიდამ იყოჩაღა. სხვათა შორის, კალაძე პერსონალურად მეურვეობდა კარეუს და ძირითადად გამარჯვებულიც გამოდიოდა, აყლაყუდა ნორვეგიელი ხშირად თავის დიდ ფიზიკურ ძალას ვერ ზომავდა და ჩვენებურს ეუხეშებოდა. ტაიმის ბოლო წუთზე შევჩენკომ მცველების უყურადღებობით ისარგებლა და კუპესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს ვერც ამჯერად აჯობა.

მეორე ნახევარში სულ სხვა „მილანი" ვიხილეთ. „როსონერი" თითქოს დაიღალა და მთელი ტაიმი თამაში „ლიონის" კარნახით მიდიოდა, მაგრამ ფრანგებს ბოლო მომენტში რაღაც აკლდათ. აშკარად იგრძნობოდა ჟუნინიოს არყოფნაც. რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე მხოლოდ ერთხელ მიუვიდათ, როდესაც კალაძე გადაცემისას შეცდა, მასპინძლებმა ბურთი ჩაჭრეს და კინაღამ გოლიც შეაგდეს.

ძალიან მხიარული და საინტერესო გამოდგა ბრძოლა „სან სიროზე". პირველივე წუთზე რიკელმემ კარგი პასი გაუკეთა ხოსე მარის, რომელსაც ტოლდომ კი აუღო, მაგრამ დიეგო ფორლანი იქვე იყო, და 0:1. „ინტერს" გათანაბრება რამდენიმე წამშივე შეეძლო, როცა ადრიანოს დარტყმული ესპანელებმა ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანეს. მასპინძელთა გოლმა მაინც არ დააყოვნა — მე-7 წუთზე ხუან მანუელ პენამ ბურთს ფეხი უხეიროდ დაუხვედრა და ადრიანოს ახლო მანძილიდან გატანა მაინცდამაინც არ გასჭირვებია. მერე მილანელებმა ნელ-ნელა გააძლიერეს დაწოლა და საბოლოოდ შეცვლაზე შესული ობაფემი მარტინსის წყალობით გაიმარჯვეს კიდეც.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
მანჩესტერი 1:0 ვესტ ჰემი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
ქუინზ პარკი 1:2 სტოკი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
ბოსტონი 1:3 ჩესტერი

## ხორვატია

თასის
ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ვარტექსი 3:3 კამენი
ჰაიდუკი 1:1 რიეკა

## უნგრეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ჰონვედი 1:0 შოპრონი (0:0)

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები
ბრაუნშვაიგი 4:1 ჰანზა
ბურგჰაუზენი 1:0 მიუნხენი
ოფენბახი 0:0 დინამო
ზაარბრიუკენი 2:5 ალემანია
ზიგენი 0:3 ალენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXVIII ტური
ჰამბურგი (მ) 1:0 ოზერჰაუზენი
ვერდერი (მ) 2:1 დიუსელდორფი
კიოლნი (მ) 5:0 ლევერკუზენი (მ)

## დანია

სუპერლიგა. XXIV ტური
ბრონდბიუ 1:0 ოდენსე
ჰორსენსი 1:0 ესბიერგი
კოპენჰაგენი 1:0 ოლბორგი
ნორდსიელანდი 1:3 ვიბორგი
სილკებორგი 1:0 ორჰუსი
სიონდერისკე 0:2 მიდტიულანდი

## შვეიცარია

სუპერლიგა. XXVI ტური
აარაუ 3:1 ძსამაძსი
გრასჰოპერი 0:0 ციურიხი
სენტ გალენი 1:3 იანგ ბოისი
ივერდონი 0:4 შაფჰაუზენი

ჩელენჯლიგა. XXIV ტური
ბადენი 3:2 მეირინი
ბოლმი 0:1 კონკორდია
კრინსი 2:0 ვილი
ლოზანა 2:2 სიონი
ვადუცი 3:1 ვინტერთური
ვოლენი 1:2 ლუცერნი

## სერბეთი

პრვა ლიგა
გადადებული მატჩი
ჰაჰიტფარმი 2:0 ზემუნი

## სლოვაკეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩი
რუჟომბეროკი 2:0 არტმედია

## თურქეთი

სუპერლიგა
XXVII ტური
ერზიესი 0:0 ქაისერი
გენჩლერი 2:1 ანკარა
მანისა 4:3 მალათია
სამსუნი 0:0 რიზე
სივა 0:0 გაზიანთეფი
დენიზლი 1:1 ბეშიქთაში
გალათასარაი 2:0 ანკარაგიუჯიუ

## იაპონია

ჯეი ლიგა
გადადებული მატჩი
გამბა 3:1 ომია

## პოლონეთი

პირველი ლიგა
გადადებული
მატჩები
ოდრა — გურინკი გადაიდო
არკა 1:1 პლოცკი

## სლოვენია

სი მობილ ლიგა
XXII ტური
ბელა კრაინა 0:1 მარიბორი
დრავა პტუი 1:1 დომზალე
ნაფტა 2:0 პრიმორიე
ნოვა გორიცა 2:0 პუბლიკუმი
რუდარი 2:2 კოპერი

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
გადადებული
მატჩები
იჰლავა — სპარტა გადაიდო
პრჟიბრამი 2:2 იაბლონეცი

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
გადადებული
მატჩები
რაპიდი 0:1 ადმირა
რიდი 2:1 გრაცერი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge